ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტელის ქალი

7
ISSN 0821-1509
1989

3/2
28/845/2

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვპაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ძვანია, ციცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუგა შეფიერული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

ბარეკანის პირველ გვერდზე — დუშეთის რაიონის, ფიროსმანაანთკარის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები; მეოთხეზე — ფეაროსთან.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

ფრომის წითელი დროშის ორდენოსანი სჭკ კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

ქალი

ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.

იუდი

9 აპრილის დარბევით თავზარდაცემულებს რომ აჭარის ტრაგედიაც დაგვატყდა თავს, მთლად გავოგნდით...

მტრის რამდენი შემოსევა, რბევა და აწიოკება განუცდია საქართველოს, მაგრამ წელში არ გატეხილა, რადგან ბუნება გვწყალობდა, მთა გვედგა ქომაგად და მის კალთებს შეფარებული, შენდებოდა და მშვენდებოდა სოფლები, თვალს იტაცებდა კოპწიად მორთული ეზოკარი, იმედიანი „იავნანა“ ამაღლებდა ოდასახლების ჭერს — აქ ფრთიანდებოდა და მძლავრობდა სიცოცხლე და უკვდავების წყაროდ ეიმედებოდა საქართველოს.

...და რა მოულოდნელი იყო ჩვენი მოწყალისა და მხსნელი მთისგან ასეთი ღალატი — ჯერ რომ სვანებს დაატყდა თავს, მაგრამ არ გვაკმარა ის მძიმე ურვა და უამრავი ნაჭრილობევი და ისევ...

ნეტავ რა შევცოდეთ, რომ ასე გაგვწირა — ზათქითა და ღრიალით შემოგვიტია, ზვავები ყუმბარებად დაგვიშინა, ღვარცოფებიც მოიშველია და... რამდენი მშვენიერი სიცოცხლე, აყვავებული სახლ-კარი, სოფელწალკოტი სასიკვდილოდ გაიმეტა — მოხვეტა, მოიტაცა და უფსკრულში ჩამარხა. ჩამარხა და დაგვიტოვა ნასახლარები, ნასოფლარები, ცრემლი და თალხი.

აგვიწიოკდა, დამგლეგვიარდა ისედაც მრავალტანჯული, გულკეთილი და პრიმშვენიერი, მშრომელი და პატიოსანი, გმირული და გამტანი ხალხი.

რომელი ტრაგედიისათვის მიგვეხედა, რომელი სატკივრისათვის გვეშოვა მალამო! დრო კი აღარ ითმენდა, დაღუპულებს პატრონობა სჭირდებოდა, ჭირისუფლებს — გამხნევება, მოწამლულებს — შველა, უსახლკაროდ აწიოკებულებს — თანადგომა, სიობო სიყვარული, თავშესაფარი.

და ისევ სიმოცა ჭირდამშვენმა საქართველომ უსასოობას, კვლავ ფეხზე წამოდგა, შეიკრა, შემტკიცდა და მოეფერა, დაუყვავა, მაშველი ხელი გაუწოდა მძიმედ დაჭრილს.

ვინ აღარ გაითავისა აჭარის ტკივილები, ვინღა არ სცადა შეემსუბუქებინა მწუხარებაში ჩაძირული ხალხისათვის გლოვის, შიშისა და უიმედობის ტვირთი, გაუხსნა გულისა და სახლის კარი ადამიანებს.

გრძელდება რაიონების, დაწესებულებების, კერძო პირთა დახმარების გადარიცხვა ბანკის 00070969 ანგარიშზე.

გაშლილი ხელითა და ალალი გულით შეეგებენ აჭარლებს თეთრი წყაროს, ხონის, ხობის, ახალქალაქის, სიღნაღის რაიონები. თუმცა სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როდესაც საქართველო მეზობლებისთვისაც არ იშურებდა სითბოსა და სიყვარულს და მათი შეჭირვების ჟამს, ათასობით ოჯახისათვის მიუცია თავშესაფარი.

...ოცნების თვალით ვხედავთ აჭარლების ახალ სახლ-კარს, ახალ, კეთილმოწყობილ, აყვავებულ სოფლებს. ვხედავთ როგორ მრავლდება, მძლავრდება და ფრთიანდება სიცოცხლე ყველა იმ ჭერქვეშ...

ახალმოსახლეთათვის განკუთვნილ, კახეთის ერთ-ერთ სოფელს „ერის იმედი“ ეწოდება.

უპრიანი იქნებოდა თუ ყველა სოფელს, სადაც აჭარლები დამკვიდრდებიან, ერის იმედად მივიჩნევთ.

აღორძინებული გვენახოს ქართველი ერის ყველა იმედი, ერთობლივ საქართველოში!

მარიკა ბარათაშვილი

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ბანკის 00070969 ანგარიშზე.

გია მურღულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულება და საღმრთო ვალი

ყველაფერი მანამდე არსებობს, სანამ დანიშნულება, ფუნქცია აქვს. როდესაც ვინმე ან რაიმე ამ ფუნქციას კარგავს, გადაგვარებისა და საბოლოოდ გადაშენების გზას დაადგება. მაგრამ ამ ქვეყნად არსებობს ისეთი დანიშნულებაც, რომელსაც არამცთუ დაკარგვა, არამედ შესუსტებაც კი არ უნერია. ეს დედობის ფუნქციაა.

დედობა არ არის მხოლოდ სიცოცხლის ნარმოშობა. დედობა ზნეობრივი საწყისის განსახიერებაა.

იდეალური შემთხვევაა, როდესაც მანდილოსანს გათვითცნობიერებული აქვს თავისი უზარმაზარი, განუმეორებელი ფუნქცია — ადამიანის სულის დახვენა. სული მარადიულია და ეს უდიდესი მადლია, მაგრამ მარადიულობა თავისთავად როდი ნიშნავს სრულქმნილებას. თუკი სული ნარყვნილია, ბოროტებასთან, სიბრიყვესთან ნაზიარები — მაშინ მისი მარადიული არსებობა მარადიულ კოშმარად შეიძლება იქცეს. სულს ისევე (და უფრო მეტად!) სჭირდება განვითარების სწორი იმპულსი, როგორც ხორცს. ფიზიკური კულტურა დიდად მნიშვნელოვანი რამ არის, მაგრამ უთუოდ ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სულიერი კულტურა. სიტყვა „ადამიანი“ ნარმოუდგენელიც კია ამ კულტურის გარეშე — უამისოდ კაცი, თუნდაც დიდი ინტელექტის მქონე, ოდენ ბიოლოგიურ არსებად რჩება.

რაკი ეს ტრივიალური ჭეშმარიტება მოგახსენეთ და თანაც ქალი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მქონედ ვაღიარეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს ქედას უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს და მისგან ითხოვს ამ პასუხისმგებლობის სრულ გააზრებას. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ გასასვლელი გზის გაუაზრებლობას, მიზნისკენ ზერელე და გაუთვითცნობიერებელ სვლას ხშირად ამ მიზნის სრულიად საპირისპირო მხარეს მიეყავართ ხოლმე.

ბიოლოგიურად ყველა ქალს შეუძლია გახდეს დედა. სოციალურადაც ეს უფლება რამდენადმე მაინც დაცულია. ერთი კია: შესაძლებლობა ყოველთვის არ ნიშნავს მის უთუო აღსრულებას. ამ აღსრულებას ფიქრისა და ცდის ძალისხმევა სჭირდება.

ძვირფასი ქართველი მანდილოსნები, ჩვენი სათაყვანებელი დედები და დები ჭკუისმასწავლებლად ნუ ჩამთვლიან, ასეთები უჩემოდაც მრავლად არიან — მე მხოლოდ ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ ქართველი ქალის მარადიული ფუნქციის თაობაზე.

ყოველი ერი, რომელსაც გადაშენება არ გადაუწყვეტია, დაფიქრებულა იმაზე, თუ რა ადგილი აქვს მას კაცობრიობის სტრუქტურაში, რა განსაზღვრავს მის თავისთავადობას, გაუცნობიერებია, რა გზით უნდა იაროს ისტორიული განვითარების გზაზე. ქართველებსაც გვიფიქრია ამაზე და არაერთხელ, ძნელებდობის ჟამს კი განსაკუთრებით, ინტენსიური გამხდარა ეს ფიქრი.

არაბების ბატონობის დროს ქვეყნის ბედის მოამაგე იოანე საბანისძე წერდა:

...„ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგვლარძნნეს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით. და სხვანი, რომელნი — ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებული და ნაკლულევანებათა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშეს მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, არამედ ქრისტეის სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ-შობილსა ძეს ღმრთისასა“.

VIII საუკუნეში ჩვენს წინაპრებს გაცნობიერებული ჰქონიათ მამულის სავალი ძირითადი გზა; ერის განვითარების მაგისტრალური ხაზი მათ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან გადაწნულად ნარმოუდგენიათ. „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“.. მშვენიერი ფრაზა წარსულიდან. რომელიც ეროვნული ერთიანობის, ერთი საყოველთაო იდეით გაპოხილი ნაციონალური სულის გაცხადებაა. ამავე ძეგლში ქართველთა სახელმწიფოს არსებობის გამამართლებელ ფუნქციად დასახულია ქრისტიანული სამყაროს განაპირა გოდლის მოვალეობის შესრულება. მრავალმა იცის, თუ ეროვნული ენერგიის რა უკიდურესი დაძაბვის ფასად ასრულებდა ქართველი ხალხი ამ უდიდეს ისტორიულ მისიას. მაშასადამე, ჩვენი წინაპრების ბიოლოგიური არსებობა უთუოდ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან წილნაყრობით იყო ქცეული პოლიტიკურ და სოციალურ არსებობად. ქართველ კაცს ყოველთვის პატიოსანი დამოკიდებულება ჰქონდა რელიგიასთან. ჩვენი სულიერი ცხოვრება არასდროს ფანატიზმამდე არ მისულა, ერთ კაცს, მეორე, ქრისტეს სახელით კოცონზე არ დაუწვავს და ჩვენს ქვეყანაში არც „ბართლომეს ღამეები“ უთენებიათ, მაგრამ კერძო კაცის უმთავრეს ღირსებად სნორედ ჯვარცმული ღმერთისათვის თავდადება ითვლებოდა. ალბათ იმიტომაც, რომ ჯვარცმული სამშობლოც მასთან ასოცირდებოდა. მამულსა და სარწმუნოებას ქართველი ცალ-ცალკე არ ნარმოიდგენდა, ორივე რაღაც ერთ მთელს შეადგენდა მისთვის, ორივე ურთიერთით შინაარსდებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში წმინდანი ეროვნული გმირის შარავანდედით იმოსებოდა, ხოლო სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი ეკლესიას წმინდანებად შერაცხულთა რიგში შეჰყავდა. ნაციონალური არსებობის ყველა გარდამტეხ მომენტში თავისთავადი ეროვნული სახის შენარჩუნება-განმტკიცების უწინარესი პირობა სარწმუნოებრივი სიწმინდისა და ამით გაპირობებული მონოლითური მამულიშვილური სულისკვეთების გამოვლინება იყო. ამიტომაც, თუ რაიმეს ებრძოდა მტერი, მისი პირველი სამიზნე ქართველთა სულიერი ციხე-სიმაგრე გახლდათ. მის შელეწვას და ერთხელ და სამუდამოდ დასამარებას ესწრაფოდნენ, მაგრამ ქართველ კაცს კარგად ესმოდა, სადაც „დამარხულ არს“ მისი უკვდავების ძალა — „დედის „ნანას“ სიტყვასა თუ მელოდიაში სამომავლოდ მოსაქცევი ხმლის ფოლადიც წარენონობდა და აღშენებლობისა და სიყვარულის იდეაც

ზეობდა რწმენის სიდიადით განმტკიცებული. საკუთარ სულში ჟამითი-ჟამად წარმოჩენილ სატანასაც მესიის მახვილით ებრძოდა ხალხი. კარგად უნოდა, რომ საკუთარი თავის დამარცხება ასწილ ძნელია, ვიდრე მომხვდურისა.

...დიდი იმპერიები წარხოცილან პირისაგან მიწისა — ჩვენზე ათასგზის მდიდარნი და ძლიერნი, ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანნი და ამპარტავანნი. ჩვენი ქვეყანა კი, გასაოცრად მავანთა, დგას ისტორიის გასაძლისზე, იმის მიუხედავად, რომ მუდამ მტერმოუწყურებელი ვიყავით, ერომანეთისაც ხშირად ვიმეტებდით გასანადგურებლად, არც სტიქიური უბედურებები აგვცდენია და არც ავადმყოფობის სასტიკი ეპიდემიები.

განგებამ თითქოს საგანგებოდ იზრუნა, რომ არ განქარვებულიყო ჩვენი სახსოვნებელი, ქართული ენა მკვდარ ენად არ ქცეულიყო და მხოლოდ დაინტერესებულ გრამატიკოსებს არ ეჩხრიკათ მსოფლიოს უნივერსიტეტებში. არც პატიოსან და ძლიერ პიროვნებებს, ჩვენს ეროვნულ სინდისად, ინტელექტისა და ზნეობის განსახიერებად რომ მიგვიჩნევია, დაუკლიათ ცდა მშვენიერ გულთათქმათა განსახორციელებად და დღევანდლამდე მოვსულვართ. ძილისთვის არც ადრე გვეცალა და მით უმეტეს, არც ახლა გვცალია. უწინარესად იმის მახსოვრობა გვმართებს, რომ სადაც ხორცს სულნე გაუმარჯვია, ამ გამარჯვების დღესასწაულზე პირველი სტუმარი სიკვდილი ყოფილა. „ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა“, — ამბობდა ილია. ახლა იქნებ მეტადაც გვეთქმოდეს ეს სიტყვები, ვიდრე მაშინ. ის საოცარი ერთსულოვნება, რომელიც ქართველმა ხალხმა 9 აპრილს გამოამჟღავნა, წარმოჩინდა არა იმის გამო, რასაც ბევრი აქამდეც აკეთებდა, არამედ მიუხედავად ამისა. ყველა როდი ყოფილა აქამდე ზნეობის ჭეშმარიტების გზით წარმმართველი — ეს ნათლად გამოჩნდა. ამიტომაც ამბობდა ზოგიერთი მანქანიდან მომზირალი „თანამემამულე“: „გამატარეთ, რა დროს მიტინგიაო!“ ჩვენს სახელმწიფოში დიდხანს ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ (ახლა ეს მრავალი პუბლიკაციით დამტკიცდა), რომ ზნეობრივი ორიენტირები დაკარგულიყო. მაინც არ დაიკარგა, რადგან ჭეშმარიტება თვითონ არ იკარგება — ეს მხოლოდ მას შეიძლება დაეკარგო თვითონ შენ.

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“, — წერდა ილია. კაცთა სიყვარულის იდეა, მადლისქმნისა და მიტევების იდეები ქრისტიანობის კულტუროლოგიურ არსში ძევს. ეს არის მარადიულ ზნეობრივ ღირებულებათა სალარო, რომლის მივიწყებამაც ამდენი უბედურება მოგვიტანა და არა მხოლოდ ჩვენ. დღეს სკოლებში ბრუნდება რელიგიის ისტორია, როგორც საგანი, მაგრამ გავიმეორებ: ზნეობის უპირველესი მასწავლებელი დედა უნდა იყოს — ის უნდა გახდეს მოზარდისთვის ჭეშმარიტი ზნეობის გზისმკვლევი ამ განათლებულ და სასტიკ საუკუნეში. „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვა“ — რომ არ შეფერხდეს, ქართველმა დედებმა თავიანთი უმთავრესი ფუნქცია უნდა ააღორძინონ და აღასრულონ. მათ ჯერ თავად უნდა განაახლონ თავიანთ არსებაში უჭკნობი ქრისტიანული ზნეობრივი დებულებები და შემდეგ ნაშიერებს ჩაუნერგონ გონებაში, სულსა და გულში: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, ანდა „ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ...“

დაშლა — სიკვდილია, მხოლოდ გამთლიანებაშია სიცოცხლე, ჰარმონიულ და დამცირებას მოკლებულ გამთლიანებაში. გამთლიანების ქრისტიანულ იმპულსზე ძლიერი იმპულსი ქართულ სულს ჯერ არ შეუგრძნია, თუმცა კი ადამიანი მარადიულად ეძიებს. ქრისტიანობა ყველაზე მეტად მოერგო ქართველი კაცის ფსიქიკურ წყობას, მის ისტორიას, ტრადიციას, სამყაროსთან, საზოგადოებასთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულების ქართულ მოაზრებას.

ამ გზის აღორძინების მაუწყებელი იყო მრავალი ათასი მლოცველი 9 აპრილის გამთენიისა. ეს გზა გვამთლიანებს. ეს გზა გვიხსნის. ამ გზას ნუ დავუკარგავთ ჩვენს შვილებს.

ხორცის ძლიერება ჩვენი გზა არ არის. სულის ღონე გადაგვარჩენს.

ველით გამოხმაურებას

მამის როლის ამაღლებისათვის

როცა პრესაში ვკითხულობთ მრავალშვილიანი ქალისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, სიხარულის გრძნობა გვეუფლება და სურვილიც გვიჩნდება ჩვენთვის უცნობ მანდილოსანს მივულოცოთ ეს დიდი სიხარული. მაგრამ, ალბათ, ყოველთვის თავი შეგვიკავებია, რადგან ამას ერთი უხერხულობა ახლავს.

მრავალი შვილის მშობელი და გამზრდელი დედა, მართლაც, რომ ჭეშმარიტი გმირია, განდიდების ღირსია და ამას სათანადოდაც აფასებს ჩვენი მთავრობა, მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ ამ გმირობის ხელშემწყობის, შვილების გაზრდაში ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, მამის როლი არსად არ წარმოჩინდება და ფართო საზოგადოებისათვის ის მისი სახელი უცნობი რჩება. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა პრესაში ქვეყნდება ინფორმაცია მავანისათვის გმირი დედის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განა შეიძლება, მარტო დედამ ჩაიფიქროს, იყოლიოს და გაზარდოს 8-10 და მეტი შვილი?

განა ამის შესახებ წინასწარ არ არის ცოლ-ქმარს შორის საუბარი. განა მომავალი შვილების ბედი მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არ წყდება?

ძირითადად ვინ უნდა იზრუნოს შვილების ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის დედასთან ერთად, თუ არა მამამ?

კარგი იქნებოდა, სადმე ხსენებულიყო, ან სამახსოვრო სიგელით მაინც დაჯილდოებულიყო მამა, რომელსაც ვუკაცობა გამოუჩენია და მეუღლესთან ერთად მრავალი შვილის გაზრდა უკისრია.

ვფიქრობ, თავისი ღირსეული მეუღლის წარმოჩენით, პირველ რიგში ქალი გაიხარებდა და იამაყებდა.

გვწამს, ამით მამის როლიც ამაღლდება ოჯახსა და საზოგადოებაში.

გვჯერა, მაშინ საზოგადოებაც ფართოდ გაიცნობდა, დაიფასებდა და მიბაძავდა ასეთ ოჯახს, რომელიც ერის გამრავლებისათვის პატრიოტული თავდადებით იღვწის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავ ჯავეთზე

ტიმოთესუბნის ეკლესია



ფ. იაკობაშვილის ფოტო

ირაკლი ციციშვილი,
პროფესორი.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვანი და შესანიშნავი ძეგლები ყველა ღირსებასთან ერთად გამოირჩევიან არქიტექტურის ბუნებასთან უბადლო შერწყმით.

აკადემიკოს დ. ლიხაჩევის მართებული თქმით, ეკლესიები თუ ციხეები აგებულია ბუნებით აღტაცებული ხუროთმოძღვრების მიერ, როგორც ძღვენი ბუნებისადმი. შემოქმედი ოსტატი შენობას აგებდა საგანგებოდ შერჩეულ ადგილებზე ისე, რომ იგი კიდევ უფრო ამშვენიერებდა და ჰარმონიულად ამთავრებდა ლანდშაფტს. ამიტომაც ჩვენი მოვალეობაა ძეგლი და ლანდშაფტი ერთ მთლიანობაში დავიცვათ.

არქიტექტურის ბუნებასთან შერწყმის საოცარ მაგალითებად გვევლინება: მცხეთის ჯვარი, სამწევრისი, შიომღვიმე, მარტვილი, წინარეხი, გელათი, გერგეტის სამება, საფარა, წეროვანი, ხერთვისის, თმოგვის, აწყურის, კვარას ციხეები, მთის სოფელი შატილი, სვანური კოშკები კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ საქმეს

კასიონის მთების ფონზე და მრავალი სხვა. შეეხედოთ მცხეთის ჯვარს, დაუთვალეთ შენობის მთაზე აგების ხელოვნებას. იგი არა მარტო ამთავრებს ბორცვს, არამედ მთელ გარემო ლანდშაფტში შეაქვს თავისი მაყურული ყღერადობა; მაგრამ ძეგლების ირგვლივ ლანდშაფტის დაცვა ჯერ კიდევ არ ვიცით. უფრო სწორად, ამაზე არ გვიფიქრია (დღემდე ხომ უდარდელად ვექცეოდით ეკოლოგიის საკითხებს — ბუნების განადგურებას). კლდეში ნაკვეთი ბრწყინვალე ძეგლი — ვარძია გვაოცებს თავისი გრანდიოზულობითა და შშენებლობის მაღალი ხელოვნებით. მაგრამ, როგორ აგებს ეს ძეგლი იმის გამო, რომ მის პირდაპირ მთაბერხეს აეშენებინათ ტურისტული ბაზა უდიდესი სასტუმროთი და მრავალი დამშმარე ნაგებობით. განა ამას დაუშვებენ რომელიმე ქვეყანაში, სადაც უფრთხილდებიან თავის წარსულს?! ასევე ბევრს აგებს ბრწყინვალე ძეგლი, ხევსურეთის მაღალმთიანი შატილი მის ირგვლივ შშენებარე დიდი კომპლექსის შედეგად. აქ, ჩვენი წინაალმდეგობის მიუხედავად, შენდება სოფელი, სკოლა-ინტერნატი, საზოგადოებრივი ცენტრი, ვერტმფრენების დასაშვები მოედანი და ვინ იცის, კიდევ რა, სულ ერთ მტკავლია მიწაზე და უშუალოდ ძეგლის ირგვლივ.

დიდებული გელათის მონასტრის დაცვითი ზონა გავსებულია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებით. ამასთანავე, ამ თვალწარმშცაც ადგილზე, რომელიც უბრძნესმა მეფემ დავით აღმაშენებელმა თავისი სარწმუნოებრივი და საგანმანათლებლო წამოწყებისათვის აირჩია, სადაც მარხია თვით დავითი, სადაც უნდა სუფევდეს სიჩუმე და მოკრძალება და ადამიანები ფეხაკრებით დადიოდნენ, გაიხმოდა მოწამეთის ქვის კარიერების აფეთქების ხმა, რამდენჯერ დაიხურა ეს კარიერები და კვლავ ჯიუტად ცდილობენ მათ განახლებას. ახლა დაებადათ გელათის მახლობლად კარბიდის ქარხნის შშენებლობის იდეა, ნუთუ ეს ეკადრება გელათს? ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენში არის დანერგილი მიწის დამუშავების ელემენტარული წესები. კარიერის დამუშავების შემდეგ სავალდებულოა განხორციელდეს მიწის რეკულტივაცია, მცენარეული საფარის აღდგენა. ცნობილია, რომ დეფორმირებული მიწაყრილები და ფუჭი ქანების ზვინები არა მარტო ამახინჯებენ პეიზაჟს, არამედ იწვევენ მიწის ეროზიას, ქმნიან მეწყერებისა და ღვარცოფების საფრთხეს.

საქართველო თავისი წარმტაცი ბუნებით, საოცარი, უმშვენიერესი ლანდშაფტებით, მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე ძეგლებით სამაგალითოა დასახენებისა და ტურიზმისათვის, ამიტომ აუცილებელია ამ მშვენიერების, სიმდიდრის მოვლა და დაცვა.

ათი წლის მანძილზე ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო იღვწის ძეგლების დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის. უკვე აღვადგინეთ ან გავამაგრეთ რამდენიმე ახეული ძეგლი. ბრწყინვალე ძეგლების ლანდშაფტის დაცვის მიზნით შექმნილია 12 მუზეუმ-ნაკრძალი. მივაღწიეთ კიდეც ძეგლის დაფასებას. აღარა გვაქვს ძეგლების ხელყოფის ფაქტები. თითქმის გაქრა ძეგლებზე მავანთა წარწერები და სხვა. ძეგლები კულტურის ეკოლოგიის სფეროა და თუ ბუნების ეკოლოგია უკვე მოითხოვს ენერგიულ ბრძოლასა და ხმაურს, კულტურის ეკოლოგია ხანგრძლივი და ჩუმი პროცესია. ამიტომაც ბევრი რამ კეთდებოდა ზედმეტი ხმაურის გარეშე, თუმცა, გვსურდა, რომ ძეგლთა დაცვა ხალხის საყოველთაო საქმე გამხდარიყო, რომ ყველა ქართველი ადამიანი, განსაკუთრებით — ახალგაზრდობა, ჩვენი თანამოაზრე გამხდარიყო და სათუთად მოპყრობოდა ძველ კულტურას. ჩვენი იმედები არა თუ გამართლდა, მოლოდინსაც გადაჭარბა. უკვე ათი წელიწადია ბევრი სტუდენტი, მოსწავლე, მეცნიერ-მუშაკი და რიგითი მშრომელი უანგაროდ, ხალისით, სამშობლოს სიყვარულით თავს დასტრიალებს ძეგლებს და ამით დიდად სასარგებლო საქმეს აკეთებს. ნელ-ნელა გამოვნახეთ სახსრები ძეგლების სარესტავრაციოდ, ვშოულობთ დეფიციტურ საშენ მასალას, ვიბრძოდით თითოეული მანქანისა თუ თაბახი ქაღალდისათვის, რათა გამოგვეცა გზამკვლევები და ჟურნალი „ძეგლის მეგობარი", როდესაც მოვმაგრდით, როდესაც სარესტავრაციო თანხებმა მიაღწია 7,5 მილიონ მანეთს (და შეიძლება კიდევ გავზარდოთ იგი ისე, რომ რესპუბლიკას არაფერი დავაკისროთ), როდესაც მოვიპოვეთ საკავშირო და საერთაშორისო აღიარება, ერთბაშად ამძრავადნენ რაღაც „ბნელი ძალები", რომლებიც მომრავლდნენ უძრაობის პერიოდში — საქმოსნები, უვიცები, უსაქმონი და სხვა; და აი, ზოგიერთ გაზეთში, უპირატესად „ახალგაზრდა კომუნისტში" უცებ დაიბეჭდა ყოვლად დაუსაბუთებელი და ხშირად პირდაპირ ცილისმწამებლური წერილები, გვაბრალებენ, რომ არაფერი გავაკეთეთ გორის ციხეზე, გავაფუჭეთ მცხეთის ჯვრის გუმბათი, თავის დროზე არ დავიცავეთ დედოფლის მინდორზე აღმორენილი ნაგებობანი, დავთანხმდით გერგეტის სამების გვერდით ნაბაგირო გზის სადგურის მშენებლობაზე და მრავალი სხვა. მოგვიხდა ამავე გაზეთში გორის ციხის რესტავრირებული უბნების ფოტოსურათების მოთავსება, რათა „ურწმუნო" გორელმა, ვინმე მოსიაშვილმა, სურათებით მაინც ნახოს, თუ რა დიდი სამუშაოა შესრულებული გორის ციხის რესტავრაციისათვის. ალბათ, მოგვიხდება სამეცნიერო ჟურნალის მეშვეობით პროფესორმა ვ. ცინცაძემ აუხსნას ყველას, თუ რა ფაქიზად და დოკუმენტურად აღსდგა მცხეთის ჯვრის გუმბათი, რომ დედოფლის მინდორი გაითხარა გაცილებით ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო და ყაზბეგის ნაბაგირო გზა დამტიკცდა და აშენდა ასევე მთავარი სამმართველოს შექმნამდე 15 წლით ადრე. შემდგომ, სწორედ ჩვენ მრავალჯერ დავაყენეთ საკითხი ამ სადგურის აღების შესახებ და მივაღწიეთ კიდევაც ამას. იგი ამჟამად ინგრევა.

დიახ, ძველ ქართულ კულტურას, ჩვენს შესანიშნავ მემკვიდრეობას გაფრთხილება სჭირდება. აქ დაუშვებელია კამპანიები და ლიტონი სიტყვები, რომელთა მიღმა ზოგჯერ ბოროტი ზრახვები იმალება. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა, ახალგაზრდობა მიხვდება, სად არის სიმართლე, სად სიყალბე და სწორად შეაფასებს შექმნილ მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

დაჩეხილი წმინდანები

(ორმოცის წინადღე)

დარო, უფრო იდარებე,
ქარის სევდა დიდია:
საქართველოს წმინდანები
ხვალ ზეცაში მიდიან!..
მიქომაგე, გამამთელე,
მომხსენ ცრემლის საყურე,
ზეციური საქართველო
დარდიანი დაგვყურებს,
ტყე დგას როგორც ქანდაკება,
ცხრა აპრილით თარიღობს:
ცული მე რას დამაკლებდა,
ტარი ხის რომ არ იყოს!
რას უბნობენ შიდა მტერნი? —

(ღმერთო, მიხსენ, მიშველე),
იმ სისხლიან ხელის მტევნებს
ერომანეთზე იშვერენ.
გააფთრებით ალანძულნი
გულს გვიფლეთენ სიცივით,
მათ მორყეულ სავარძლებზე
ეშმა ზის და იცინის...

. . . . . .

დარო, უფრო იდარებე,
თორემ სევდა დიდია.
დაჩეხილი წმინდანები
ხვალ უფალთან მიდიან!..

18 მაისი

გვინდა შენდობა გთხოვოთ!

რიმა კაზაკოვა

რიმა კაზაკოვას საქართველოში კაოგად ცხრობენ. პოეტ ქალს გულითადი მეგობრობა აკავშიოებს ბევრ ქართველ მწერალთან. საზოგადო მოღვაწესთან, საერთოდ, საქართველოსთან. სითბოთი და პატივისცემით გამსჭვალული მრავალი სტრიქონი აქვს მიძღვნილი ჩვენი სამშობლოსა და ქართველი ხალხისათვის. დიდ პატივად ვთვლი, რომ მის ქართველ მეგობართა წრეში, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად, მეც ვრიცხები. იგი საოცარი გულშემატკივრობით ადევნებს თვალს და ეხმაურება საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესს. მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 1986 წლის ივნისში მომხდარი უსამართო ამბავი, ალბათ, თბილისში ერთერთმა პირველმა მე შევიტყვე იმის წყალობით, რომ იმ დღეს ქალბატონმა რიმამ, ქართველ მწერლებთან ერთად, უყოყმანოდ და ტოვა დარბაზი და აღშფოთებულმა მაშინვე დამირეკა...

9 აპრილს დატრიალებულმა ტრაგედიამ და მისმა საზარელმა შედეგებმა სულით ხორცამდე შესძრა ჩვენი რუსი მეგობარი. ამაზე მეტყველებს მისი წერილიც, რომელიც, მართალია, პირადულია.

9 აპრილის ტკივილები

ნაზი თარგამაძე

* * *

ბავშვებო, ხომ გახსოვთ, რაც მოხდა ცხრა აპრილს,
სამხედროებმა რომ დახოცეს ქალები.
მეც დედა მომიკლეს, არ მიხსნის დანა პირს,
დღემუდამ ცრემლებით სავსე მაქვს თვალები.

ტანკებით მოსულან დილაუთენია,
ნიჩბებით, მომწამვლელ გაზით, ხელკეტებით,
მამულზე მლოცველი ხალხი უთელიათ,
ნამლავდნენ, თან ჩუხდნენ თურმე გამეტებით.

რუსთველის გამზირი თეატრონს ჰგავდაო,
ყოფილა სიმღერის, ლექსის ნიაღვარი,
რა ჰქონდა ჯარს ხალხთან საომარ-სადაო,
ზიზღით ქართველების სისხლი რომ დაღვარეს.

ბავშვებო, თერმეტის ვხდებოდი იმ დილით
და ვწყველე დიდივით, დღე ჩემი გაჩენის,
ჩემი საყვარელი დედიკოს სიკვდილით
იმ დღეს დამიბერდა თითქოს მამაჩემი.

ხალხის მნუხარებას არა აქვს ნაპირი,
გლოვობს საქართველო, მოსილი ძაძებით,
ბავშვებო, გახსოვდეთ ის მნარე აპრილი,
ბავშვებო, გახსოვდეთ ის ჯარისკაცები!

ნატვრა

— რომ აგიხდეს ნატვრა,
რას ინატრებ, ნატა?
— ნამდვილ სახლად იქცეს,
რამდენ სახლსაც ვხატავ!

— ვის მისცემდი მერე,
გოგო, ამდენ სახლებს?
— ვის და სულ აჭარლებს...
ერთ დღეს შევასახლებ!

— ყოჩაღ ნატო, კიდევ
რას ინატრებ ნეტავ,
— აღარ იყოს მეტად
ხალხის ხოცვა-ულეტვა

და ვინატრებ ყველას
სანატრელს და სათქმელს —
ბევრზე ბევრი შვილი
პყავდეს ყველა ქართველს.

ავტორის თხოვნით ჟონორარი გადაირიცხება დემოგრაფიულ ფონდში

აგრამ არა იმდენად, რომ უფლება მქონდეს ჩემთვის დავიტოვო. ქართველ მკითხველს არ გავაცნო... გთავაზობთ მას ოდნავი შემოკლებით და ვიმედოვნებ, ამისათვის ქალბატონი რიმა არ გამინაწყენდება.

ვახტანგ ესვანჯია

ძვირფასო ვახტანგ!

მე და ჩემი ვაჟი მწუხარებისა და სასოწარკვეთილების გრძნობით გიგზავნით ამ წერილს, რათა უბრალოდ გითხრათ, რომ თქვენთან ერთად ვარ, რომ შეგვაძინოს ყოველივე მომხდარმა და მზად ვართ ყველგან და ყოველთვის ყველაფერი ვიღონოთ, იმისათვის, რომ სიმართლე მაინც არ წალეკოს თვალთმაქცური სიტყვების ნიაღვარმა.

თვალს ვადევნებ ოფიციალურ პრესას. რა საჭიროა მთელი ეს აწონილ-დაწონილი სიტყვები? მთავრობის პოზიცია სად არის? რატომ არ არის ზუსტი შეფასება? როგორ შეიძლება თუნდაც გონებაში გაივლო აზრი, რომ შესაძლებელია ასეთი ზომები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ თავიანთი მოთხოვნებით? მერედა, ჩვენ?

...ვნი, რომ არიან ისეთი რუსები, რომლებთანაც თავს ისე გრძნობ, თითქოს გადამთიელები იყვნენ!

გიგზავნი მწერალ ლიჩუტინის საზიზღარ სტატიას („ლიტერატურნაია როსია", 14 აპრილი, 1989 წ. ვ. ე.). აი, ასეთი ადამიანებით იწყება სამარცხვინო შოვინიზმი, და ვწუხლდები, რომ ჩვენ ერთი ერის შვილები ვართ.

„ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციაში გამოვიდა ი. როსტი, აჩვენა თავისი ფოტოსურათები და თქვა რა და როგორ მოხდა. ეს ამბავი უურმოკრულად შევიტყვე ჩემი მეგობრის ქმრისაგან, რომელიც ამ გაზეთში მუშაობს. ასე რომ ეეშმარიტება არ დაიმალება.

ჩვენს პლენუმზე ვნახე ჩემი ქართველი მეგობრები — ძმები ჭილაძეები და სხვები. მეც (!) კი ვიგრძენი მათგან რაღაც მტრული გამოხედვა. ან რა გასაკვირია! ჩვენი მწერლების გაზეთში „მოსკოვსკი ლიტერატორში", როგორც მიამბეს იმათ, ვინც კითხულობს (მე ი შვიაათად ვარ მოსკოვში, მივლინებებით დავდივარ), საკვეყნოდ ახსამენ ხოტბას საზოგადოება „პამიატს". მრავალრიცხოვანი ხალხი ვართ, უმსგავსოც ბევრი გვირევია, შეშინდე, უფალო, ცოდვილს. როგორ მწყინს!..

მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ პირადად ჩემთვის ურთიერთობები არ გაუარესდება. ეს კია, იმ წუთიდან, როცა ქართველებთან ერთად გამოვედი მწერალთა ყრილობის დარბაზიდან, „ლიტერატურნაია გაზეტაში" აღარ მიბეჭდავენ არაფერს. მაგრამ რუს-ქართველთა ურთიერთობას წყალი შეუდგა, ეს ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენი, ჩვენს ყრილობაზე... სძაგელი მოთხრობა რომ დაიწერა საქართველოში თევზაობის თაობაზე, ძვირად დაგვიჯდა; მთელმა ხალხმა უნდა აგოს პასუხი ერთი ტვინნაღრძობი მჯღაბნელის მანიაკური ბოდვისათვის.

ჩემო მეგობარო: ჩვენ — მე და ეგორს (ქალბატონ რიმას ვაჟიშვილი, ახალგაზრდა მწერალი, ვ. ე.) ცხადია, არაფერი დაგვიშავებია და მაინც გვინდა დავიჩოქოთ, შენდობა გთხოვოთ იმ რუსთა სახელით, რომელებიც თქვენს უბედურებას უფრო მეტად განიცდიან, ვიდრე საკუთარს, რადგან ეს შემზარავი უსამართლობა იყო.

ვიმედოვნებ, რომ უკეთეს დროსაც მოვესწრებით.

რიმა კაზაკოვა

19. IV. 89.

შეწყვეტილი სიმღერა

3 არდობისთვის კვირაძალს, ცხრა აპრილის რიყრაუზე, ოცი ლამაზი სიცოცხლე საქართველოს სიყვარულში, მამულის საკურთხეველზე სანთელივით დაიფერფლა.

ხალხის აზროვნება სხვა უფრო მტკივნეულმა ამბავმა ვერ გადფარა. აპრილის ტრაგედიით გულდანისლულნი წერენ წერილებს, ლექსებს, ქმნიან მუსიკას-რეკვიემებს. სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს ყველას — დიდსა და პატარას.

რედაქციაში მკითხველთა გულწრფელი სტრიქონების ნაკადია.

მარიკა თანიაშვილი ასე გამოხატავს თავის გულისთქმას.

„იმ დღეს, როცა დედაქალაქს
გაცრეცილი ედო ფერი,
და სიონში დიდ პატრიარქს
შველას სთხოვდა ჩემი ერი.
ო, განგებავ შენ განსაჯე,
რაც დაატყდა ამ ჩემს მხარეს,
სანგრის ნიჩბით ყელი დასჭრეს
ზოგს თვალები ამოსთხარეს“.

ბათუმელ მოსწავლეს ანა ფირცხალაშვილს ლექსისთვის წაუმძღვარებია: „ვუძღვნი ცხრა აპრილის სისხლიანი განთიადისას დაღუპული ქართველი ქალის არსებაში ჩაკლულ ყრმას, რომლის ბავშვური გოდება მტანჯველად ამედევნა“.

„გაზაფხულის ყვავილებს
დედიკოსთან მივიტან,
ამოქარგულ ბილიკებს
ცის ტატნობზე ავიტან.
იქ ვიმღერებ, ოცნებით
სულსაც მაღლა ავიყვან“.

ანას სურვილი აღძრია აჰყვეს ჯადოსნურ ბილიკებს, გაზაფხულის ყვავილებს და სულჩაუდგმელი ყრმის თვალები მზესთან ახლოს მიიტანოს. ფიზმძიმე ქალის გარდაცვალებით, არშობილის დაღუპვით გამოწვეული ტკივილები გოგონას გულს უსერავს.

უაზრო მსხვერპლთა და განწირულთა ხსოვნამ ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის მცხოვრებ ლ. კაპანაძე-გრიგალაშვილს ხელთ კალამი ააღებინა. იგი შესძრა უდანაშაულო ადამიანთა მძიმე ხვედრმა, ზვარაკად რომ შეეწირნენ საწუკვარ საქართველოს და უკვდავების კვარცხლბეკზე ავიდნენ.

„ოო, საქართველოვ,
ძნელბედობა გაქვს,
ცრემლს რა შეუშრობს ძუ
ვეფხვს, ავაზას“.

ნინო ვარდიძე აბასთუმნიდან „ქართული გულის ძახილს“ გვიგზავნის.

„დასცხეთ“, „დაჩეხეთ“,
„დაჭკარით“
— ამას ვინ ჯარი თაობდა,
რამდენი დედა აცრემლდა,
რამდენი შვილი დაობლდა“.

ჩვენი საქართველოს გაზაფხული რად შეიმოსა შავი არშიითაო, — გულისტკივილით ამბობს ავტორი.

„აპრილის ცრემლები“ — ასე დაასათაურა თავისი ლექსი იზოლდა შათირიშვილმა-გელაშვილისამ. იგი ჭრთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხის ეროვნულ ტკივილს განიცდის. ტრაგედიის მსხვერპლნი სიყვარულისთვის, სიხარულისთვის მზეს შეჰხაროდნენ და როგორ დასცეს ორლესული ხელნიჩბებითა და მხრჩოლავი გაზით. მათ უდანაშაულო ადამიანთა ლამაზი სიცოცხლე შეიწირეს, სიმღერითა და ცეკვით გართულებს ალესილი სასანგრე ნიჩბები და ხელკეტები ჩასაფრებოდათ.

„ქეთევან წამებულივით
როგორ აწამეს ყველანი,
ნუ ჰგონიათ რომ შერჩებათ
ამდენი ხალხის ჩეხვანი“.

სისხლის კალო დატრიალდა. დაეცნენ ხელკეტების მსხვერპლნი, სანთლებით ხელში სამშობლოს ბედზე მლოცველი ხალხი.

„აღსდექ საქართველოვ,
გუგუნებს ქაშუეთი,
გოლგოთას გავუძლებთ,
გავუძლებთ წამებას,
ჩვენ კვლავ გავიმარჯვებთ,
ერთ მჯოლად შევიკრათ,
ქრისტე შეგვეწევა და წმიდა
სამება“.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული თბილისელი მოსწავლე თამრიკო ყურაშვილი წერს:

„მიყვარს ჩემი ცა და მამული.
ვგრძნობ, რომ ჩემშიც ყდერს
სალამური.
მიყვარს ხეებზე ფოთოლთა
სიფოთლე,
მიყვარს ყველაფერი, რაც არის
სიცოცხლე“.

ანთებული წმინდა სანთლები — ეს ჩვენი ახალგაზრდობა, მომავლის იმედი და საყრდენია. გამოიღვიძა გამარჯვების მინავლებულმა იმედმა. გულნარა გიორგაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის № 18 საშუალო სკოლის მასწავლებელი წერს:

„ქალებს ესროლესო, ბავშვებს
ესროლესო,
გულში ესროლეს თბილისს,
სისხლი ედინება მკერდიდან,
ვიდრე
ერთი ქართველიც ივლის“.

ცხრა აპრილის ტრაგედია მოუშუშებელი ტკივილია ყველა ქართველისათვის და მარად შეუხორცებელ ჭრილობად დარჩება იგი. მარო ვაშაკიძე (გულიდან) ამონარიდ სტრიქონებს გვთავაზობს:

„რა მარჯვენამ გაგიმეტათ,
ან რა გულმა გაგწირათ,
უღვთოდ დაგცეს რუსთაველზე
ასაფრენნი არწივად.
რამდენ რამეს ოცნებობდით,
ეკა, მზია, ნათია...
. . . . . .
. . . . . .
...თქვენი სული დაფრფატებს
თბილისს კარით კარად.
თუ იქნება საქართველო,
თქვენც იქნებით მარადის“.

ნანა დავითაშვილს სურს უკეთ ვუმკურნალოთ ეროვნულ სატკივარს, რომ მოვიპოვოთ ჩვენი რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტი.

„ოცნების მიღმა დგას
საქართველო,
ბედნიერი და თავისუფალი,
გალაღებულა მამული ჩემი,
თავზე მზის სხივებს აფენს
უფალი...
თუმც უსასრულოდ იტირებს
წვიმა,
მარტის, აპრილის ჭირისუფალი“.

მკითხველთა გულწრფელ სტრიქონებში ხალხის გულისთქმაა ჩაქსოვილი. უდანაშაულო ადამიანები სიმღერით შეხვდნენ ტანკების მოედანზე შემოსვლას. და მათ მიერ შეწყვეტილი სიმღერა პოეტ მორის ფოცხიშვილისა და კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის სიმღერა-რეკვიემით „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ განახლდა. არნახული ტრაგედია მუსიკის ენით აისახა. და ჩვენც „ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები, შევუწყოთ ერთმანეთს ხმები“.

ეთერ ჯაფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძის დაბადების 90 წლისთავისათვის

ჭეშმარიტი სიყვარულით შთაგონებული

დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის წყობილსიტყვიერ შემოქმედებაში ათეულზე მეტი ლირიკული ნაწარმოები სამიჯნურო თემაზეა აგებული. აღსანიშნავია, რომ ამ ხასიათის ლირიკული ნაწარმოებებიდან ყველაზე უადრესი (ყოველ შემთხვევაში დაბეჭდილი ტექსტების თარიღის მიხედვით) 1917 წელს განეკუთვნება (როდესაც პოეტი 17 წლისა იყო), ხოლო ყველაზე უგვიანესი — გარდაცვალების წინა წელს — 1965 წელს...

დროის მანძილით ერთმანეთისაგან ახე მკვეთრად დაშორებული ამ ორი ფაქტის აღნუსხვისას უნებლიეთ გვახსენდება ცნობილი მოარული გამოთქმა: სიყვარულს ყველა ასაკი ემორჩილებაო.

საყურადღებოა, რომ გიორგი ლეონიძის სამიჯნურო ლექსები გარკვეული მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ერთ-ერთ ადრინდელ პოეტურ ნაწარმოებში პოეტს სიყვარული ისეთი მსწრაფლმხრბელავ, მოუხელთებელ და მირაჟულ მოვლენად ესახება, რომლისთვისაც კვალში მიდევნება, მხარისა თუ თვალის გასწორება მეტად რთული და თითქმის შეუძლებელია. ხოლო ვინც ამას ახერხებს, მას მიზნის ასრულებით გამოწვეული სიხარულის ნაცვლად უმძიმესი განსაცდელი არ ახლდება. ესე იგი, იქმნება პარადოქსული ვითარება: სიყვარულის სიტკბო ფაქტობრივად სიმწარეს შეიცავს.

როგორც ირემი გამოვარდნილი
მონადირის თვალს ეჩვენოს წამით,
შემდეგ მოსწყდეს და გადაიაროს
ცხრა მთა, ცხრა ველი
ქარიშხლის ძალით,
ისე ჟუფილვარ ჩასაფრებული
სიყვარულისთვის
დღითა თუ ღამით...
ვერ მოვეწიე, ვინ მოეწევა?
ვინც მოეწიოს,
ვაჰ, მისი ბრალი!..

ამ ლექსის შექმნის დრო 1926 წლით თარიღდება, ხოლო 1928 წელს დაწერილ ამავე ტიპის ლექსშიც ავტორი მსგავს სატრფიალო განცდებს გადმოგვცემს, მაგრამ ამჯერად უფრო გაბედულად და უფრო ეინიანად.

აქაც პოეტი სიყვარულს ეძებს, ამასთან, მისი „სამიჯნურო გაცეცხლება“ კიდევ უფრო ძლიერდება და ყოველივე ეს მოზიდული მშვილდის ლარივით დაჭიმულ ვნებამორეულ ტალღებში სახიერდება:

გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რჯა ზედ მივაფშვნა რჯაზედა!
სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა,
შევკუვირე,
როგორც ირმები
ბუკვირიან ეარაიახა!

სახიყვარულო განცდები თავისებურ დახლართულ ისტორიულ სიბრტყეზეა გახსნილ-გამეღლავნებული ამავე 1928 წელს შექმნილ დიდი შინაგანი წინააღმდეგობებით „გამომწვარ-გამოტანჯულ“ ლირიკულ შედეგში „ყიჩაღის პიემანი“. ამ ლექსის ბოლო ხტროფი თვალნათლივ ადასტურებს იმ უცილობელ ფაქტს, რომ ნამდვილ სიყვარულს ეამი ვერ ანელებს და პოეტის მიერ მიჯნურობისადმი საუკუნეთა მიღმა გადაბანილი თავის ბუნებრივ სიწრფელესა და სიხალვეს ინარჩუნებს:

მოდი!
გეძახი ათასწლის მერე,
დამშაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პიემანისა!..

დიახ, ბუნებრივი შთაგონებით პოეტის შემოქმედებაში ე. წ. დროითი დისტანციით შობილი ლექსიც პირველადი სინედლითა და სისპეტაკით აღელვებს მკითხველს და მასზე კვლავაც ძაფარ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. იგი მკითხველის გულს მაინც ძალუმად აამოძრავებს და ეს კი წყობილი სიტყვის საუცხოო ხელოვანის უდავო გამარჯვებას მოასწავებს.

ასევე დროითი ინტერვალით შექმნილ ამავე ტიპის პოეტურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსიც. იგი თავიდან ბოლომდე მარადუკნობი სილამაზის ერთ მთლიან შთაგონებულ საგალობელს წარმოადგენს და დიდი შინაგანი თრთოლვა და მღელვარება ახასიათებს. აქ გვხვდება სტროფი, რომლის ბოლო ორ ტაეპში უხეშობა და სინაზე ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება. ამ დაპირისპირებით ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, რომ სიმწყაზრე—ბაერონება უსათუოთესი რამ არის ამ ქვეყნად და ცოდვაა რამეთუ სამზეოზე ისიც დროებითი მოვლენაა, ისიც ბუნების მკაცრ კანონს ექვემდებარება და ბოლოს მასაც თავისი დასასრული აქვს:

შენს სილამაზის იქით ბნელდება
და იხურება ციხკრის კარედი,
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს
იკარებდი.

მართალია, აქ სინაზეს, სიცოცხლით გაფურჩქნილი უმშვენიერესი ბანოვანის ამაყ მკერდს ვარდიც რომ ვერ შეხებია, ბოლოს სიკვდილი მიაყრის საფლავის ცივ ბელტებს, მაგრამ ეჭეშმარიტი სილამაზის გამონაშუქი არასოდეს დაიშრიტება და მიწყვივ მოკიაფე ხსივებით მომავალ ახლელეულებს გადასწვდება: ეს გამონაშუქი კვლავაც პოეტური ქნარის ხიმებს შეარხევს, ეშხიანად ააყღერებს და

ტკბილზე უტკბილეს, გულში ჩამწვდომ ბანგებს გამოაცემინებს:

> თუ გადამჭრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
> დღესაც მინათებს შენი მშვენება,
> შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
> არ უწერია გადაშენება!

ახე მიმართავს პოეტი გასული ახუკუნის ქართველ ახულთა შორის ულამაზეს და გონიერთა შორის უგონიერეს და ამით ჭეშმარიტი სილამაზის არსსაც უმაღლეს შეფასებას ანიჭებს.

სატრფიალო გრძნობები უბრალო, მაგრამ მკაფიო კრისტალური სიწმინდით არის ახახული თითოსტროფიან მინიატურებში, რომელთაც გამაერთიანებელ სათაურად აქვთ: „ხეებზე წაწერილი ლექსები". ერთგვარი ექსპრომტული ხალაღობო ხასიათის მიუხედავად, მათში მაინც გიორგი ლეონიძის ინდივიდუალური პოეტური ხელწერა ცნაურდება, მათში მაინც იგრძნობა ლეონიძისეული სულის ამორგება და აფორიაქება, სულისა, რომელიც ყოვლისმძლეველი მუზტებით არის დაელექტროებული.

ასევე, ავტორის ტრფიალების თვალისმომჭრელ სინათლით ავსებულ სხვა ლექსებშიც განსხვავებული ინტონაცია ალიქმება.

მაგალითად:

> ვით მოგზაური შინისკენ
> მე შენსკენ მოვისწრაფოდი;
> მე შენს სიყვარულს გამოვკე,
> როგორც მთის ჩანჩქერს ნაფოტი.

ან კიდევ:

> იწვება ცეცხლით გულის ფიცარი,
> გული კი არა, ცეცხლის თონეა,
> სატრფო მეცა მყავს დასაფიცარი,
> მეც მყვარებია, მეც მითრთოლია.

ერთ-ერთი სატრფიალო ლექსის მიხედვით კი პოეტი საკუთარ არსებაში სიყვარულის ცეცხლის აგიზგიზებას მიესალმება, ოღონდ იქვე გამოთქვამს დაუოკებელ სურვილს, რომ ეს ცეცხლი

> დაე, სულ ენთოს ჩემს სიხარულში;
> არც იყოს მისი დამაკრობელი;
> ჩაკეტილი ვარ ჩემს სიყვარულში
> და ჩემს გულში ვარ გამაგრებული.

დამოწმებული ციტატის ბოლო ორი ტაეპი თამამი მხატვრული ფანტაზიის ისეთი ბრწყინვალე ნაყოფია, რომელიც მხოლოდ ნიჭიერი მგოსნის კალამს თუ ხელეწიფება.

გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკული ნაწარმოებებია აგრეთვე „ორი დღე", „მეტების თავზე", „თვირთვილა" და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორთან სიყვარულის ყვავილი არასოდეს არ ჭკნება, სიყვარულის ცეცხლი არასოდეს ინავლება და ოდენ ნაცრად არ იქცევა. მისმა ამქვეყნიურმა ტრფიალებამ დახარბული იცის, მაგრამ დახახრული — არასოდეს...

მხატვარი ცინარა ფერელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში ხმა გავარდა: მღვდლის ქალაშვილი მოიტაცეს, თეთრცხენებიანი ეტლით მიაქროლებდნენო. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. მაშინ უღელტეხილზე რკინიგზა ახალი გაყვანილი იყო. მთელი სოფელი აფორიაქდა. მღვდელმა უფროსი ვაჟი იხმო, მარჯვე ბიჭები შეურჩია და უთხრა:

— ქრისტო, აბა შენ იცი, როგორ იმარჯვებ, ახლავე დაედევნეთ ინ არამზადებს, იქნებ გზაზე წამოეწიოთ, დაიჭიროთ და აქ მომგვაროთ!

სასიძო მთელ მაზრაში განთქმული ხელოსანი იყო. მახლობელ დაბაში, მდინარის პირას სახლობდა. მოზრდილი ბაღი ჰქონდა, შიგ ედგა ბანიანი სახლი, ბეღელი, სათონე, მარანი — ერთი-მეორეზე მიყოლებით ჩამწკრივებული. გზისპირა სამჭედლოები და სახელოსნებიც მას ეკუთვნოდა. მდევრები რომ მივიდნენ, ბაღში სასულე ორკესტრი უკრავდა. საკორწილო სუფრა მდინარისპირამდე მთელ სიგრძეზე იყო გაშლილი. სუფრაზე პურ-მარილი ბლომად დაეხვავებინათ. მდევრებს, რაც პირველად თვალში მოხვდათ, ეს იყო ლავაშებზე დაწყობილი, ლურჯად მოკამკამე ოჩხი, ქინძმძარში ჩაწყობილი ლოქო და ატენური ღვინით სავსე ხელადები. სუფთა ჰაერზე ნამგზავრებს და მოშიებულებს, მის დანახვაზე თვალები გაუფართოვდათ და ქეიფი მოუნდათ. წინ კოტტად გამოწყობილი, ლაზათიანი სიძე შეეგებათ.

— მობრძანდით, სასურველო სტუმრებო, ჩემი კისერი და თქვენი ხმალი. თუ ქალი წამოგყვებათ, ვერ დავაკავებ, მე მოძალადე არა ვარ, — განუცხადა თავაზიანად, — თქვენი და ცოტამატა ხომ არა გგონიათ, დიდი ქირვეული ვინმეა, ვიდრე თეთრცხენებშებმულ ეტლს არ მომიყვან, თვალით არ დამენახოო. გამაჭაშა კაცი, მთელი თვე თეთრ ცხენებს ვეძებდი.

პატარძლამა ძმის ნათქვამზე, თუ წამოხვალო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. — მე და ლაზარემ, — თვალი სასიძოსკენ გააპარა, ჯვარი უკვე დავიწერეთ, ის ჩემი კანონიერი მეუღლეა. თუ მოყვარე ხარ, მიდი გადაეხვიე და გადაკოცნე, — უთხრა ძმას.

პატარძლის ბეღნიერმა ღიმილმა, სასულე ორკესტრის გუგუნმა, სუფრიდან ლურჯად მოლივლივე ოჩხმა დარდიმანდი ქრისტო ქეიფის გუნებაზე მოიყვანა. დიდი თავპატიჟი არ დასჭირვებიათ, სუფრას შემოუსხდნენ და კარგადაც მოილხინეს. მთელი ღამე იქეიფეს. როცა განთიადმა ვარდისფრად გამოანათა, თეირად მორთული, ცისფერთვალება პატარძალი საცეკვაოდ გაიწვიეს. მან ხელში დაირა აიღო და თეთრი გედივით გასრიალდა. ტანკენარი, ნაზად მონარნარე, ციდან ჩამოსულ ანგელოზს ჰგავდა. მექორწილეები უზვად ასაჩუქრებდნენ მომხიბლავ პატარძალს, ვერცხლის თასში წკრიალწკრიალითა ცვიოდა ოქროს თუმნიანები. მედუდუკეებმა ლილის საარი დაუკრეს. ხელისმომკიდეებმა პატარძალი ნელა-ნელა ბანიანი სახლისაკენ წაიყვანეს. მდევრებმა დრო იხელთეს და სიძის კარმიდამო მიათვალ-მოათვალიერს. სათონეშიც შეიჭყიტეს, ბეღელშიც შეიხედეს, მარნის კარიც შეაღეს, სახელოსნოებსაც აუარ-ჩაუარეს. როცა უკან დაბრუნება ისურვეს, სიძემ ეტლი გაუმზადა, შავ-თეთრი ცხენები შეაბა. თან ერთი კალათა ოჩხი, მახობლის პური და ერთი კოკა ატენური ღვინო გამოატანა საგზლად. სოფელში რომ დაბრუნდნენ, შუადღე იყო. მღვდელი ჭიკართან იდგა და ელოდა.

— სად დაიკარგეთ. ან ქალი რა უყავით? — დაუტია ბიჭებს ლოდინისაგან ილაჯგაწყვეტილმა მღვდელმა.

— მამაო, ნუ გაგვირისხდები, — მოახსენა ვაჟიშვილმა. — შენი სიძე არც თვალტანადობით და არც ქონებით დასაწუნი არ არის. სახლი დოვლათით აქვს სავსე. მის ბეღელში მოწნულ ლასტებზე იმდენი ჩალიბრული ოჩხი, ქარვისფრად მოკამკამე დოში და ზურგიელი აწყვია, მთელს შენს მრევლს ეყოფა.

— მაშ, ლასტებზე ოჩხი აწყვია?!

— მწარედ ჩაიცინა მღვდელმა.

— ჰო, ოჩხი აწყვია და მერე როგორი ოჩხი, სულ მტკვრის სათავეებში დაბერილი, ქვის ჯილებში დასუქებული. ახალდაბისა და ტაშისკარის ოჩხი, — მიუგო შვილმა.

— ჰო, მართლა, ეს ნობათი სიძემ მოგართვა, — დაუდგა წინ თეზვით სავსე კალათა, მახობლის პური და ატენურით სავსე კოკა. მღვდელმა კალათას გადახედა, თვალებმოთეთრებული ლურჯი თეზვები კალათში გამომწვევად გამწკრივებულიყო.

— მაშ, სიძის ბეღელში ლასტებზე სულ ჩალიბრული ოჩხი აწყვია? მაშ, ქორწილში სასულე ორკესტრი უკრავდა და ის ჩემი ტარაბუცა ქალაშვილი უზუნდარას ცეკვავდა? — - გაჯავრებით იკითხა მღვდელმა.

— დიახ, მამავ, პატარძალმა ხელში დაირა აიღო, თან უკრავდა, თან ცეკვავდა, — მოახსენა ვაჟმა.

— მაშ, პატარძალი უზუნდარას ცეკვავდა? — იკითხა ისევ მღვდელმა და მოულოდნელად თეზვით სავსე კალათისაკენ დაიხარა. ერთი ლიფსიტა აიტაცა და უცვ შეახრამუნა. მერე ცხვირწაგრძელებულ მურწას დასწვდა და ისიც თვალის დახამხამებაში შეყლაპა. მერე ციმორს შეავლო ხელი, მერე ჭანარს, ისევ მურწას, ციმორს, ფიჩხულს... მდევრები გაშეშებულნი შესცქეროდნენ, ვერავინ მიმხვდარიყო, სიბრაზისაგან ყლაპავდა მღვდელი ასე სულმოუთმენლად თეზვებს, თუ მოშიებული იყო. როცა კალათა თითქმის გაანახევრა. მდევრებს გადახედა და უკვე მორბილებული ხმით იკითხა: — მაშ სიძის ბეღელში ფართო ლასტებზე სულ ასეთი გემრიელი ოჩხი აწყვია? და ბიჭებს რომ მის სახეზე ნაოელი ხაზები არ დაენახათ, უცბად შეტრიალდა და იქაურობას უხმოდ გაშორდა.

მარგო თომაძე

მარინე ხმალაძე

ვისი გორის ვარ?

ციკლიდან „გვიდაჭის ზმანებანი"

ვისი გორის ვარ?
ვითომ არ იცით
ვის თვალში ჰყვავის ამდენი ია,
ჭაჯვის პერანგი ვისი ჩავიცვი
და გულზე ვისი ყაყაჩო ყრია,
ვისი მასხედან ტანზე მთიები,
ვისი არაგვი მიღელავს ტანში,
ვისა მჩეხავდა გადამთიელი
და ციხეს,
უწყლოს,
ტანს ბალანაშლილს.
ვის დამკიოდნენ,
მშლიდნენ,
მარბევდნენ,
ვისა მხატავდნენ სისხლიან ფუნჯით,
ვის მემსხვრეოდა ფარი — სამკერდე
და ხალიბური მიდუღდა მუჭში.
ვისი გორის ვარ?
ვინ არის იგი
ვინც მთავრდებოდა მტკვართან, რიონთან
და ისტორიის ბობოქარ ნიგნში
ვაზის ლერნებად ამოდიოდა.
ვინც მტრისთვის ჭექდა, როგორც სიათა
და ვინც მზე გაშლილ დროშებად იპყრო,
ვისი გორის ვარ?
ქართლოსიანთა!
ვინ უნდა ვიყო!

სერგი დურმიშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი შეხვედრა

- დეკემბრის მიწურული იყო. საღამოობანს კინოთეატრ „რუსთაველიდან“ გამოვედი. სამხატვრო გალერეის წინ ელენე ახვლედიანი შევნიშნე და მისკენ გავეშურე. დღლილი სახე ჰქონდა, მოტეხილი მეჩვენა...

— ფინანსთა მინისტრთან ვიყავი, ჩემთან შეხვედრას აწყობენ, თუ გინდა მოდი. ამასწინათ ძველ „ხარახურაში“ იაპონიიდან შენს მიერ ჩამოტანილი ფლომასტერების უთუთ წავაწყდი. გამახსენდა, როგორ დაგცეცხლე მაშინ და გამეცინა. შენ თუ გახსოვს, ხმა ჩაგიწყდა, ვინ იცის, გულში როგორ მლანძღე, რამდენი წელია მას შემდეგ? მოდი, შევრიგდეთ. ვერიკო ანჯაფარიძე მეუბნება ხოლმე: ადამიანებთან ურთიერთობაში ნამდვილი „ხულელი“ ხარ, რა გემართებაო. ეშმაკმა წამიღოს, აბა რა ვიცი, რატომ ვარ ხოლმე ზოგჯერ აუტანლად უხეში!

— ქალბატონო ელენე, თქვენგან მე არაფერი არ მწყენია და შესარიგებელი რა გვჭირს, — ვიცრუე აშკარად.

— თუ არ წავჩხუბებულვართ, კიდევ უკეთესი. მაინც შევრიგდეთ! მართლა, როგორ არის შენი ნათესავი ბიჭის სწავლის საქმე, ხატავს კიდევ? დამამახსოვრდა: 10-12 წლის ბიჭის მთავარი თემა ადამიანის სიკვდილით დასჯა იყო. საოცარია, ბავშვი იების ნაცვლად სახრჩობელას ხატავდეს! მეორე დურმიშიძე ნიჭიერი მხატვარი ჩანს. მას რამდენჯერმე შევხვდი. მგონი ახლახან დაამთავრა სამხატვრო აკადემია. საკვირველია, როგორ მოეწყო, შენ დაეხმარე, ალბათ. მათი სახელები კარგად აღარ მახსოვს, რაღაც უცნაური სახელები ჰქონდათ. — მე მივაშველე: თემური და ომარი.

— აბა, ეგ საქმეა! ქართული სახელი ვერ იშოვეთ?! საკვირველი სახელი ხართ! — მომაყარა კითხვები და გამეცალა.

24 დეკემბერს, როდესაც სამსახურიდან შინ დავბრუნდი, ოჯახის წევრები გახარებულნი დამხვდნენ; ქალბატონმა ელენემ საჩუქრად ხუროათი გამოგვიგზავნაო.

ოთხი დღის შემდეგ, 28 დეკემბერს ელენე ახვლედიანი უეცრად გარდაიცვალა, როდესაც სამადლობელო სიტყვას ამბობდა ფინანსთა სამინისტროში მის პატივსაცემად გამართულ შეკრებაზე. შეწყდა შესანშნავი ადამიანის სიცოცხლე!

აი რა გაიხსენა ქალბატონმა ელენემ თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ჩემთან შეხვედრისას.

1967 წელს, ჩვენი საერთო მეგობრის, გოგუცა აგიაშვილის ხელით ელენე ახვლედიანს გავუგზავნე ჩემი ნათესავის, პატარა თემურის ნახატები. მისი მშობლები — ნოდარ დურმიშიძე და მედიკო წერეთელი — შეწუხებულნი იყვნენ: — მეტი აღარ შეგვიძლია, ყველგან და ყველაფერზე მამაკაცის პორტრეტებს ხატავს. სახლი საღებავებით არის მოთხუპნილი, 6 წლისამ დაიწყო, ახლა 12 წლისაა და მაინც არაფერი ეშველა. სერგო, დაგვეხმარე, აჩვენე ვინმეს აქვს თუ არა პერსპექტივა მის „მხატვრობას“, ბავშვი გზას არ ასცდესო.

ქალბატონმა ელენემ ნახა თემურის ნახატები და შემოგვითვალა: მხატვრობის ნიჭი ნამდვილად აქვს, მაგრამ მაოცებს მისი „თემატიკა“. თითქმის ყველა სურათი სიკვდილით დასჯას ეხება, ჩამოხრჩობა ან დახვრეტა მისთვის ჩვეულებრივი მოქმედებაა! რაშია საქმე? რატომ აქვს ამ 12 წლის ბიჭს ასეთი მდგრეკილება, ფსიქიატრს აჩვენეთო.

თემური ახლა სამხატვრო აკადემიის უკანასკნელი კურსის სტუდენტია.

როდესაც თემურს ეკითხებიან, პატარაობისას რატომ ხატავდი ამდენ დახვრეტილსა და ჩამოხრჩობილსო, დინჯად უპასუხებს ხოლმე: საჩხერის სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, ჩემს გვერდით ისეთი ბავშვები იყვნენ, რომლებსაც ოჯახის რომელიმე წევრი დახვრეტილი ან გადასახლებული ჰყავდა. მე ვცდილობდი მათი თხოვნა შემესრულებინა და მართალი და ტყუილი ნამბობის მიხედვით „სიკვდილით დასჯილებს“ ვხატავდიო.

ომარმა სამხატვრო აკადემია 1973 წერს დაამთავრა. მას ქალბატონი ელენე სტუდენტობიდანვე იცნობდა, ახსოვდა, თუ რა სიმწრით ჩაირიცხა აკადემიაში. შესახსენელ გამოცდებზე ყველა საგანში ფრიადი მიიღო, მაგრამ არ ჩარიცხეს, ადგილი არ არისო. დახმარებისათვის მივმართე მაშინდელ კულტურის მინისტრს, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს. დამპირდა — დაგეხმარები, მხოლოდ ერთი თვე დამაცალე, ანტურიენტთა მშობლების ღელვა ჩაწყნარდესო. ბატონმა ოთარმა ერთი თვის შემდეგ თავისი დაპირება შეასრულა და დღეს ომარი მისი წყალობით ერთ-ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა მხატვარია. მან უკვე მოახწერო რამდენიმე პერსონალური გამოფენის მოწყობა.

1967 წლის ზაფხულში ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობისათვის ტოკიოს უნდა გავმგზავრებულიყავი, ეს გაეგო ქალბატონ ელენეს და ტელეფონით დამელაპარაკა:

— სერგო, ერთი სათხოვარი მაქვს: თუ საშუალება გექნეს, ფლომასტერები მიყიდე, იაპონური განსაკუთრებით მაღალი ხარისხისაა.

დავალება სიამოვნებით მივიღე. ტოკიოში ყოფნისას შევიძინე ორი ყუთი სხვადასხვა ფერის, მაღალხარისხოვანი ფლომასტერები. ეს სიამოვნება საკმაოდ ძვირი დაჯდა (ჩემი ბიუჯეტის ნახევარზე მეტი შეიწირა), მაგრამ როცა წარმოვიდგენდი, თუ როგორ გავახარებდი ქალბატონ ელენეს, მსიამოვნებდა. დადგა ეს ნანატრი დღეც. ფლომასტერების ერთი ყუთი ელენე ახვლედიანს გავუგზავნე, მეორე კი ომარ დურმიშიძეს ვაჩუქე. რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონმა ელენემ დამირეკა. ახლა ჩემი ნატვრა მხოლოდ ისღა იყო, რომ მისთვის სხვებსაც მოეცხინათ, როგორ გადამიხდიდა მადლობას. მოლოდინი მწარედ გამიმტყუნდა. ქალბატონმა ელენემ გამლანძღა, გამთათხა!

— თქვე მათხოვრებო, თუ მეტის საშუალება არა გაქვთ, რას დაეხეტებით უცხოეთში, დაჯექით შინ და იყავით, ეს ერთი კომპლექტი რამ გაყიდინა, სირცხვილი არ არის!?

სახტად დავრჩი, ღმერთმა ხომ იცის, რომ შესაძლებლობის ფარგლებში არაფერი დამიშურებია! ვერაფერი ვუპასუხე, გაოგნებული ვიყავი.

ამის შემდეგ მასთან შეხვედრას ვერიდებოდი. ეს იყო ჩვენი „ჩხუბი“, ამიტომ მითხრა „შევრიგდეთ“.

ელენე ახვლედიანთან

1975 წლის 24 დეკემბერს ხურათი „ძველი თბილისის კუთხე“ გამოიგზავნა, 28 დეკემბერს გარდაიცვალა!

ხურათზე ჭაღარა ნარიყალას ციხის ფონზე მოჩანან წითელი კრამიტით დახურული აივნიანი სახლები და მათი მფლობელნი...

იქნებ ეს უკანასკნელი „ძველი თბილისის კუთხეა“, რომელიც ძველი თბილისის მეხოტბე-რაინდმა გააჩუქა!..

დმერთო დ[illegible]ბილო, რა დიდი ხხვაობა იყო ელენეს ენახა და გულს შორის!

საფრთხის

პროფესორი ვერა ვაშაკიძე და მეცნიერ მუშაკი ცისანა საჯაია ლაბორატორიაში

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და სახალხო მეურნეობის საყოველთაო ქიმიზაციამ, რომელმაც ყოველმხრივ დააჩქარა ადამიანის, როგორც პიროვნების განვითარება, იძულებული გახადა იგი იცხოვროს ხელოვნურ ე. წ. „ქიმიურად და ტექნიკურად დაძაბულ“ გარემოში და ბუნებაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების შედეგად საფრთხე შეუქმნა ადამიანის ბუნებასთან ჰარმონიულ კავშირს.

დღეისათვის ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ყოველწლიურად გამოიყენება ათასობით ახალი ქიმიური ნივთიერება და მომავალშიც მოსალოდნელია მისი მნიშვნელოვანი ზრდა.

სოფლის მეურნეობის საყოველთაო ქიმიზაციამ და ამდენად ათასობით დასახელების ქიმიური ნივთიერებების ფართოდ გამოყენებამ ხელი შეუწყო მომუშავეთა ორგანიზმზე და საერთოდ მოსახლეობაზე მავნე მოქმედებას და გარემოში სხვადასხვა მიკროელემენტებისა და ბიოლოგიურად აქტიური რადიკალების წარმოქმნასა და დაგროვებას.

მართალია, ადამიანის ორგანიზმზე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შხამქიმიკატების მოქმედების შედეგად გამონვეული მწვავე მოწამვლის შემთხვევები დღიდანდღე კლებულობს, რაც პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისა და გარკვეული შხამქიმიკატების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შედეგია, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ შხამქიმიკატების უსაფრთხო გამოყენებაზე პასუხისმგებელი სამსახურების მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მაღალკვალიფიციური მაკონტროლებელი სამსახურები.

სრულიად უგულებელყოფილია თავდაცვის საშუალებების გამოყენება და შენამლულ ტერიტორიაზე მუშათა დაშვება სათანადო ჰიგიენური რეკომენდაციებით, რომლებიც შხამქიმიკატების ზემოქმედებისაგან დაიცავდნენ ორგანიზმს.

ადამიანის აზროვნებამ, შემოქმედებითმა და გამომგონებლობითმა გენიამ გადააჭარბა მის ფიზიოლოგიურ გრძნობას, — სიფრთხილის გრძნობას და აი, გარემოში სხვადასხვა გზით გაფრქვე-

სამართლიანობის გამარჯვების რწმენა

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს ქალთა რესპუბლიკურმა საბჭომ, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ ბავშვთა და ქალთა ორგანიზაციების, ქართველი დედების, საქართველოს უველა ქალის სახელით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტს, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას, მსოფლიო ინფორმაციების საშუალებებს, 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების გამომკვლევ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დროებით კომისიას, მხარი დაეჭირათ მათი პროტესტისათვის და მონაწილეობა მიეღოთ ამ სისხლიანი ტრაგედიის ორგანიზატორებისა და ინიციატორების კონკრეტული დანაშაულის დადგენაში, დახმარებოდნენ დაზარალებულებს.

მოგვიანებით მიღებულ პასუხს მაინც ვაქვეყნებთ, როგორც დოკუმენტს.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ჯაფარიძეს.

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტმა მიიღო თქვენი მიმართვა და წერილები. თქვენთან ერთად ღრმად განვიცდით 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას.

ჩვენს გულებში არ ცხრება ტკივილი მომხდარის გამო.

ძნელია იპოვო ნუგეშის სიტყვები შვილმკვდარი დედებისათვის, ტკივილს გვაუცენებს იმაზე ფიქრი, ვისაც ბრილობა ჯერ არ მოშუშებია. უსაზღვროა ქართველი ხალხის მწუხარება. ჩვენ ვიზიარებთ ამ მწუხარებას. დარწმუნებული ვართ მომხდარი ტრაგედიის გამომძიებელი კომისია დაასახელებს დამნაშავეებს და საკადრის სასჯელს მიაგებს მათ.

ჩვენ იმათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გვაფიქლებს, ვისაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ თხოვნით მივმართეთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს უველაფერი იღონოს დაზარალებულთა გამოჯანმრთელებისათვის.

ამასთანავე ისიც გვესმის, რომ ახლა ქართველი ხალხისათვის, ისე როგორც უველა ჩვენგანისათვის, აუცილებელია არა მარტო გაუფრთხილდეს დაღუპულთა ხსოვნას და შეუმსუბუქოს ავადმყოფებს მდგომარეობა, არამედ მოიკრიბოს ძალა იმისათვის, რათა მწუხარების, გლოვის, აღშფოთების გრძნობას არ დაათრგუნვინოს სამართლიანობის, გამარჯვების რწმენა.

ზ. ა. პუხოვა,
საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინაშე

ულმა ქიმიურმა ელემენტებმა გამოინვია ისეთი სახის მძიმე დაავადებათა გავრცელება, როგორიც არის ავთვისებიანი სიმსივნეები, ლეიკოზები, ფსიქიკური, გულსისხლძარღვთა, ღვიძლის, თირკმელების და სხვა.

ამ მოვლენათა მთელი სერიოზულობა არამარტო ის არის, რომ ბიოსფერო და, მათ შორის ადამიანი, მიიღებს და დაგროვებს ორგანიზმში დიდძალ მძიმე ლითონებსა და აქტიურ ქიმიურ ელემენტებს, არამედ ის, რომ მათ მიერ გამოწვეული ორგანიზმის დაავადება თაობიდან თაობას გადაეცემა განუსაზღვრელი ხანგრძლივობით. ასეთებია ტყვიის, ფოსფორის, ქლორის, ვერცხლისწყლის, ფენოლისა და სხვა ქიმიური ნაერთები, შხამქიმიკატების სახით რომ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ვერცხლისწყალს „ლითონთა მამას" უწოდებდნენ. იგი მრავალჯერ იხსენიებოდა ალქიმიკოსთა ტრაქტატებში. ვერცხლისწყალი გროვდებოდა ლაბორატორიაში მომუშავეთა ორგანიზმში, განსაკუთრებით იქ, სადაც შრომის უმძიმესი პირობები იყო და ინვევდა მწვავე და ქრონიკულ ინტოქსიკაციის განვითარებას შიზოფრენიის მსგავსი დაავადების სახით: თავბრუს, თავისტკივილებსა და სმენითი და მხედველობითის ჰალუცინაციებს. 1940 წელს შვეიცარიაში ლითონური ვერცხლისწყალი პირველად მარცველეულის შესანამლად გამოიყენეს, რამაც მგალობელი ფრინველებისა და საერთოდ ორნითოფაუნის განადგურება გამოინვია. დაიხოცნენ მხეცებიც, ამ მონამლული ფრინველებით რომ იკვებებოდნენ; ასეთივე სტიქიური უბედურება სხვა ქვეყნებშიც გამოინვია ვერცხლისწყლით ტბებისა და მდინარეების გაჭუჭყიანებამ. მათში დაჭერილი თევზით კვების შედეგად გავრცელდა მოსახლეობაში ნერვული სისტემის დაავადებები და მხოლოდ თევზაობისა და ვერცხლისწყლის ნაერთების სოფლის მეურნეობასა და გარკვეულ სამრეწველო საწარმოებში გამოყენების აკრძალვით მოხერხდა აღნიშნული დაავადების თანდათან შემცირება. მაგრამ, უბედურება ამით არ ამოიწურა, ვერცხლისწყალმა, რომელიც უჯრედთა კომპონენტებთან, კერძოდ ნუკლეინის მჟავებთან შედის რეაქციაში, დაარღვია ცილების სინთეზი, შთამომავლობითი ინფორმაციის გადაცემა და ადამიანები ხანგრძლივად დაეზიანა. ამდენად, აღნიშნულმა დაავადებამ ათეული წლის განმავლობაში თაობებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ვერცხლისწყლის, ფოსფორის, ქლორის ორგანული ნაერთები ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში მარცველეულის შესანამლად და მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ, ზოგიერთი მათგანი მავნედ მოქმედებს საშიშროებას ქმნის ნერვულ, გულსისხძარღვთა სისტემებზე, გენერაციულ ფუნქციაზე, ემბრიონზე, რამეთუ არღვევს ორსულობის მიმდინარეობას, ახალშობილებში იწვევს ენცეფალოპათიებს და ტვინის განუვითარებლობას, ქალებსა და კაცებში კი — უნაყოფობას.

ჩვენ ისიც დავადგინეთ, რომ ვერცხლისწყლის ზოგიერთი ორგანული ნაერთი და ფტალიმიდის ჯგუფის წარმომადგენელი თაობებში სქესთა თანაფარდობას არღვევს, რაც მეტად მავნე მოქმედებად ითვლება, რადგან სქესთა თანაფარდობის საუკუნოვანი კანონზომიერებების დარღვევის შედეგად დიდი ხიფათია მოსალოდნელი.

დეპეშები

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას, რესპუბლიკის ქალთა საგჭოს

1. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. კანდელაკი გვატყობინებს, რომ რაიონის მშრომელთა კოლექტივების ქალთა საბჭოს თაოსნობით აჭარაში სტიქიისაგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ დღეისათვის გადარიცხულია 43,80 მან.

გარდა ამისა, ოქტომბრის რაიონის ჭარბი შემოსავლიდან გაღებული ხარჯებით ხიღნადის რაიონის სოფელ ილიაწმინდაში ჩასახლებული ოჯახებისათვის აშენდება სამედიცინო დაწესებულება.

2. როგორც ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მ. კახიძე გვატყობინებს, ქუთაისის ბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ქალთა საბჭოს ინიციატივას სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ აჭარელთა დასახმარებლად და 9 აპრილს დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ასაგებ ფონდში ერთი დღის ხელფასის გადარიცხვას მთელი კოლექტივი გამოეხმაურა.

გაერთიანების კოლექტივის სახელით აჭარელთა დასახმარებლად გადაირიცხა 15 ათასი მანეთი, ხოლო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ასაგებ ფონდში — 7 ათასი მანეთი.

ამერიკელი მკვლევარების მონაცემებით დღეისათვის ყოველი მეექვსე ბავშვი ნერვული სისტემის დაავადებით, ყოველი მე-10-ე შთამომავლობითი ანომალიებით იბადება. გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დიდი ხანია საუკუნის № 1 დაავადებების თანაბრად არის მიჩნეული. გახშირდა ღვიძლის, თირკმელების, სისხლის დაავადებების შემთხვევები, „აიზარდა ალერგიული | და ახლომხედველი ბავშვების, უნაყოფო წყვილების, უძუძერი დედების, ავთვისებიანი სიმსივნეების გამოვლინების რიცხვი, გაახალგაზრდავდა კიბო და ღლიკოზი. მსოფლიოს მკვლევართა აზრით ეს ყოველივე მეტწილად სახალხო მეურნეობაში, კერძოდ სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების მრავალფეროვანი კომპლექსების უკონტროლო გამოყენების შედეგია.

სამწუხაროდ სოფლის მეურნეობაში შსამქმიკატებს შრომის პირობების უხეში დარღვევით იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შხამქმიკატის გამოყენების შემდეგ განსაზღვრულია შეწამლულ ტერიტორიაზე, მათ შორის სათბურებში, მომუშავეთა დაშვების დრო (შემწამლელები კი მხოლოდ დაცვითი საშუალებებით უნდა მუშაობდნენ და იზოლირებული უნდა იყვნენ მოწამლული გარემოსაგან). დღეისათვის არა თუ დროის რეჟიმია ზუსტად დაცული, არამედ ხშირ შემთხვევაში მცენარეთა შეწამვლა სათბურებში მუშათა კონტინგენტის დასწრებით, მათი ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გადაადგილებით სნარმოების, რაც მუშათა მოწამვლის რეალურ საშიშროებას ქმნის. ინსტიტუტის სპეციალისტები ამის შესახებ განუწყვეტლივ განმარტებებსა და მითითებებს იძლევიან, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანებს მოუდუნდათ სიფრთხილის გრძნობა, ამიტომ არის, რომ მათ მოწამვლის ქრონიკული მიმდინარეობა მათს ორგანიზმში ხშირად შეუმჩნეველი რჩება, ხოლო როდესაც იგი თავს იჩენს, შხამის მოქმედებასთან მისი დაკავშირება ერთობ რთულია და ძნელადაც ინკურნება.

არის ისეთი შხამიც, რომელიც დაბალი ტოქსიკურობით ხასიათდება, მაგრამ ორგანიზმში წარმოშობს ისეთი დაშლის პროდუქტებს ე. წ. მეტაბოლიტებს, რომლებიც შეიძლება უფრო მეტად საშიშიც იყოს.

დღეისათვის ძლიერი ტოქსიკურობისა და მავნეობის გამო ხმარებიდან ამოღებულია „დდტ", „სევინი", „ბრომმეთილი". მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ კიდევ გვხვდება მათი გამოყენების შემთხვევები. ეს არა თუ დაუდევრობა, არამედ დანაშაულია, რისთვისაც საჭირო კიდევ უფრო გამკაცრდეს კონტროლი და კანონის მთელი სიმძაფრით დაისჯონ დამნაშავენი.

ასეთივე სიფრთხილეა საჭირო ზოგიერთი ნაერთების გამოყენებისას, როგორიც არის „კაპტანი", „ფტალანი", „ნემაგონი" და სხვა. პირველი ორი ნაერთი თაობებზე მავნედ მოქმედებს, „ნემაგინი" კი, როგორც კანცეროგენი, აკრძალულია გამოსაყენებლად. ასევე აკრძალულია გამოსაყენებლად „მოროციდი", „სევინი" და „გრანოზანი". მაგრამ „გრანოზანის" შემცველებლის დაბალი ეფექტურობის გამო იგი ჯერ კიდევ შემორჩენილია ხმარებაში, ამიტომ მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს თავდაცვის რეჟიმის სრული დაცვით.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ბუნებრივი და მინერალური წყლებით, ტბებითა და საკურორტო ადგილებით, ნაკრძალებით. ამავე დროს მას აქვს სპეციფიკური გეოგრაფიული რელიეფი, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს არა მარტო აღნიშნული წყაროებისა და წყალსაცავების დაბინძურების, არამედ გეოქიმიური ანომალიური კერების შექმნისა და თვით შავი ზღვის გაჭუჭყიანების თვალსაზრისით. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საქართველოში შხამქმიკატები გამოყენებული იქნას შეზღუდული სიით, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ბაღებისა და ბაღჩებისათვის, ასევე მოყვარულ მეურნეთათვის გამოსაყენებლად. აღნიშნული, სია არ შეიცავს მდგრად და საშიშ შხამქმიკატებს და ამავე დროს ყველა მცენარის კულტურისთვის მოცემულია შესაბყვისი ნაკლებად ტოქსიკური და ნაკლებად საშიში ნივთიერებები. აღნიშნული სია დამტკიცებულია საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

ეს გადაწყვეტილება იმითაც არის გამართლებული, რომ შხამქმიკატების უმრავლესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედებს არა მარტო მომავალ თაობებზე, არამედ ანადგურებს ფრინველებსა და ცხოველთა სამყაროსაც, რომელთა ორგანიზმი ზოგჯერ ადამიანზე უფრო მგრძნობიარეა და მათი გამრავლების ხანმოკლე ციკლს გადაშენების საშიშროებას უქმნის.

დღეისათვის ლიტერატურაში დიდძალი მასალაა დაგროვილი მეციტრუსეებსა და მევენახეებში ნერვული სისტემისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების მაღალი მაჩვენებლების შესახებ. მეჩაიე ქალებში ხშირია გინეკოლოგიური დაავადებები, ხოლო სათბურებში მომუშავეთა შორის სისხლნაკლებობის, ღვიძლის, ენდოკრინული სისტემის, სასქესო სფეროს, გულსისხლძარღვთა დაავადებების მაღალი დონეა, ყოველივე ზემოაღნიშნული გვარწმუნებს, რომ პროგნოზების დრო წავიდა და აღმოჩენდით შხამქმიკატებისა და სასუქების ორგანიზმზე მავნე მოქმედების სინამდვილეში, რაც მომავალში კიდევ უფრო მეტად გავრცელების საშიშროებას ქმნის.

მეცნიერულ-ტექნიკური | პროგრესის ფონზე ქიმიზაციამ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა იმდენად გაართულა, რომ იგი გასცდა მედიკოსთა კომპეტენციას და საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო. მიზანი ერთია, მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან. ამიტომ უნდა გამოინახოს რაც შეიძლება მეტი შეხების წერტილები მედიკოსებსა და ტექნიკოსებს, ქიმიკოსებსა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს შორის. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გარემოს დაცვას და ამით — დავადებების პროფილაქტიკას, გარემოს მავნე ზემოქმედების შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობას, რაც ხშირად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია:

სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ იქნას შხამქმიკატები შეზღუდული სიით, რომელიც დაშვებულია მოყვარულ მეურნეთათვის, ჯერ კიდევ მანამ, სანამ სრულიად აიკრძალებოდეს ქიმიური მეთოდები და ადგილს დაიმკვიდრებდეს ბიოლოგიური მეთოდები და ბუნებრივი სასუქები;

მკაცრად განისაზღვროს შხამქმიკატებით სამუშაო დროის ხანგრძლივობა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ჰიგიენური სტანდარტების მიხედვით.

აღიკვეთოს შხამქმიკატების გაუმართლებელი რთული კომპლექსების გამოყენება მედიკოსი სპეციალისტების უსანქციოდ.

მკაცრი კონტროლი დაწესდეს შეწამლულ ტერიტორიაზე მუშათა დაშვების დროის ზუსტად დასაცავად.

სისტემატური კონტროლი დამკვიდრდეს საკვებ პროდუქტებში შხამქმიკატებისა და ნიტრატების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრაზე და აიკრძალოს მათი რეალიზაცია მომატებული რაოდენობის შემთხვევაში სანიტარული წესებით დაუმუშავებლად.

სასათბურე მეურნეობიდან საავაჭრო ქსელში გაშვებამდე კიტრი და პამიდორი ინტენსიურად გაირეცხოს გამდინარე წყლით, რომლის ბაზა თვით სათბურების ტერიტორიაზე უნდა იყოს.

განახლდეს ტელეეგადაცემათა ციკლი შხამქმიკატების უსაფრთხო გამოყენებისა და საკვებ პროდუქტებში დაგროვების საშიშროების აღკვეთის თაობაზე.

კატეგორიულად აიკრძალოს შეწამლულ ტერიტორიაზე მეძუძური ქალების მუშაობა, ორსული ქალების საქმიანობა დღიდან ორსულობის ფაქტის დადგენისა.

აიკრძალოს თამბაქოს მოყვანა იჯარული წესით, რათა თავიდან აციცილოთ შხამებთან და თამბაქოს მავნე ფაქტორებთან არასრულწლოვანებისა და ბავშვების კონტაქტი.

აიკრძალოს კერძო პირებისათვის შხამქიმიკატებისა და სასუქების გაცემა პირადი სარგებლობის ბაღებისა და ბოსტნების დასამუშავებლად, შეიქმნას სპე-

ციალური სახელმწიფო სამსახური ცენტრალიზებული წესით და სათანადო ანაზღაურებით კერძო ნაკვეთების შესანამლად.

შემოწმდეს კერძო ნაკვეთებში მონეული ყველა პროდუქტი ქიმიური ნივთიერებების შემცველობის მხრივ;

შხამქიმიკატებისა და სასუქების უსაფრთხო გამოყენების მიზნით საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშზე შეიქმნას სპეციალური უნყებრივი სამედიცინო სამსახურები ან მნიშვნელოვნად გაიზარდოს სანეპიდსადგურებში შრომის ჰიგიენის ექიმებისა და ტოქსიკოლოგების შტატი.

საკვები პროდუქტების შხამქიმიკატებით დაბინძურების შემთხვევაში, სახელმწიფოსადმი მიყენებული ყოველგვარი ზარალი საბჭოთა მეურნეობის იმ მუშაკებს უნდა გადახდეს, რომლებიც პასუხს აგებენ ამ პროდუქტების დაცვისათვის.

მოეწყოს ტელეგადაცემები შხამქიმიკატების ორგანიზმზე მავნე მოქმედების საშიშროებისა და მათ მიერ გამოწვეული დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებზე.

ტელევიზიით გადაიცეს იმ საბჭოთა მეურნეობების შესახებ, რომელთა მიერ მოწეული პროდუქტები შხამების მომატებულ რაოდენობას შეიცავენ. მოსახლეობას გავაცნოთ დაუდევარი ხელმძღვანელი და სათანადო პასუხი მოეთხოვოს მას;

კატეგორიულად აიკრძალოს შხამქიმიკატებზე მუშათა უსაფუძვლოდ მუშაობა. სასურველია მუშაობაში ჩაებას აგრეთვე ის თავისუფალი საზოგადოებები, რომლებიც ასე ინტენსიურად იხილავენ სამრეწველო საწარმოთა გარემოზე მავნე მოქმედების საკითხებს, რადგან სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები გაცილებით მეტ ზიანს აყენებს ბუნებას და მოსახლეობის ჯანმრთელობას;

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება სოფლის მეურნეობის სრული ქიმიზაციური პროცესების დროს დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ძნელია ნაკლებად საშიშ შხამქიმიკატების კომპლექსების დროული შერჩევა და ეფექტიანი ბიოლოგიური მეთოდების შემუშავება და დანერგვა. ქიმიური ნივთიერებების გამოყენების მკვეთრ შემცირებას არ უნდა მოვერიდოთ, თუნდაც იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს იძლეოდეს. მომავლის ჯანმრთელობა და ბედნიერება ეს უპირველესი განძია, რისთვისაც თვით ტექნიკური პროგრესი და ქიმიზაციაა გამიზნული.

ვერა ვაშაკიძე,

საქართველოს ჯანდაცვის საშინაოსტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

როცა გული არ ბერდება

მისი მშვენიერი სიმღერით არიან მოხიბლული ქართველები და თუმცა ქალბატონი ქეთევანი პროფესიით სტომატოლოგი გახლავთ, მას მაინც მომღერლად იცნობენ,

როგორც ქეთევან ღოღობერიძე ამბობს, სხვანაირად არც შეიძლება: ღოღობერიძეები ხომ ბუნებით მომღერლები არიან, თითქმის ყველა მათგანი მღერის. მისი ბიძა ბიძინა ღოღობერიძე გამორჩენილი ლოტბარი იყო, ძმა ბუჯუტა — ცნობილი მომღერალი...

ქეთევან ღოღობერიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა ასე დაიწყო: სწავლობდა თბილისის მე-7 შრომის სკოლაში. მისი სმენითა და ხმით მოხიბლულმა მუსიკის მასწავლებელმა ქეთევან ოქროპირიძე-მგრელიძისამ მერვეკლასელი გოგონა ავქსენტი მეგრელიძესთან მიიყვანა რომელიც მერნნგურე ქალთა ანსამბლს ხელმძღვანელობდა. ქეთევანი მომღერლად დატოვეს ანსამბლში. რაღაც ერთი წლის შემდეგ კი, ქეთევან ღოღობერიძე მოსკოვში გამართულ ქართული მუსიკის დეკადაში აქტიურად მონაწილეობდა.

მალე ქეთევანი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს სერგო ნონიაშვილს მისთხოვდა. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მუშაობდა ექიმ-სტომატოლოგად, მაგრამ სიმღერა მაინც არ მიუტოვებია — ჯერ პლეხანოვის კლუბთან არსებულ თვითმოქმედ მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა, შემდეგ ყაზბეგში მიიწვიეს — ეს იყო 1947 წელს და იმ დღიდან არ შეწყვეტილა ქალბატონ ქეთევანის მოგზაურობა ერთი რაიონიდან მეორეში. მიწვეული იყო ქარელში, ბორჯომში, კასპში, ახალციხეში, ადიგენში, ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს, ყოფილა შემთხვევა სამ რაიონში ერთდროულად უმუშავია.

მრავალმხრივ საინტერესოა მისი მოღვაწეობა სამცხე-ჯავახეთში. წარუშლელ მოგონებად დარჩა აწ განსვენებულ ცეკვის ჯადოქარ ჯანო ბაგრატიონთან ერთად მუშაობა. ან როგორ დაივიწყებს მიხეილ რაქვიაშვილს, უნიჭიერეს ქორეოგრაფს გიორგი სალუქვაძეს...

ქეთევან ღოღობერიძე საქმეს ყველგან დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდებოდა და ამიტომ ეს უფასდებოდა — მის ანსამბლი ოლიმპიადაზე პირველობას არავის უთმობდა, სიგელებსა და ჯილდოებს კი თვლა აღარ ჰქონდა... ქეთევანს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს.

რა დაავიწყებს 1967 წელს გამართული ოლიმპიადას. ქარელის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ბრწყინვალედ მომზადებული წარუდგა მაყურებელს. როგორც კომპოზიტორმა ზალვა მშველიძემ თქვა, ქარელელებმა „ფეხზე დააყენეს ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი.“

ქალბატონი ქეთევანი მას შემდეგ ქარელელების ერთგულია. ახლაც ქარელის რაიონის კეხოჯვრის კულტურის სახლში ქალთა ფოლკლორულ ანსამბლს ხელმძღვანელობს, რომელიც დიდი წარმატებით მართავს კონცერტებს.

ბევრი რამ აქვს საამაყო... საქართველოს რომელ კუთხეში არ გაისმის მისი შექმნილი სიმღერები, სახელდობრ: „კობამ დაიწყო ხასანბეგურა“, „საცეკვაო“, „მწყემსების ზეიმი მთაში“, „სადაური ხარ, გოგოვ, შენ,“ „სიმღერა ვარძიაზე“ და სხვა მრავალი.

შვილებსაც დედისგან გამოჰყვათ ხელოვნების სიყვარული. უფროსი შვილი — სერგო, ფილარმონიის სოლისტია, თამაზი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მარინე და ირინე (ტყუპები) — მომღერლები.

მისი მოწაფეები არიან: ი. ზაქაიძე, თ. იმერლიშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები), ლ. მურადელი. ნ. ბელაშვილი — ოპერის თეატრის სოლისტი და სხვა.

საცაა ქალბატონ ქეთევანს 70 წელი შეუსრულდება, მაგრამ საყვარელი საქმიანობა ასაკს ავიწყებს. როცა ანსამბლთან ვმუშაობ, თავი ოცი წლის გოგო მგონიაო, — ხუმრობს ხოლმე.

დაე, სულ ასე უბერებელი გულით იმოღვაწოს ქეთევან ღოღობერიძემ.

ქეთევან კაკაშვილი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ექსპერიმენტული საამქროს უფროსი ელენე აბაშიძე

მისად, მოგების მეტი წილი გვრჩება, ვიდრე უწინ.

— ბატონო ლადო, ცოტა ხნით სამეურნეო საქმიანობა გვერდზე გადავდოთ და სოციალურ საკითხებზე ვისაუბროთ. რაც უნდა იყოს, ქალთა კოლექტივია, ასეთ სიტუაციაში ძნელდება საწარმოს მართვა. ქალი — დედაა, ქალი — მეუღლეა — განსაკუთრებულ მზრუნველობასაც მოითხოვს, მოკლედ, ხელი უნდა შეეწყოთ და საინტერესოა, ამ პრობლემას როგორ ართმევთ თავს?

— სხვათა შორის, პრობლემა მეტისმეტად არ იგრძნობა. აი, მის მატერიალურ მხარს ვგულისხმობ. პირიქით, შესანიშნავი შემსრულებლები არიან. საწარმოო დისციპლინის დარღვევებიც ძალზე იშვიათად გვაქვს. სხვა არის მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა თუ სოციალური საკითხების გადაჭრა. აქ მარტო დირექტორზე როდია ყველაფერი დამოკიდებული. კოლექტივს ჰყავს თავისი შრომითი საბჭო, რომელსაც ქალი ხელმძღვანელობს. ყველა ძირითადი საკითხი საბჭოზე წყდება და, ვიტყოდი, საქმე წესრიგშია.

ფაბრიკა პატარაა, ძალ-ღონის შესაფერად გვაქვს ყველაფერი. საბავშვო ბაღი აქვეა, წყნეთში გვაქვს ბავშვთა ოთახი. სასადილოც კარგად მუშაობს. რა გითხრათ, ბოლოს და ბოლოს ხალხი აგარაკზეა.

ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტს ხშირად მიხდება სამრეწველო საწარმოებში სტუმრობა. ზოგან ისეთი სოციალური პირობებია, ვინ იცის, კაპიტალისტებს შეშურდეთ. ფაბრიკა არ გახლავთ საჩვენებელი ადგილი, აქ რეკლამაზე ნაკლებ ზრუნავენ. სამაგიეროდ, მართლაც ყველაფერი აქვთ, რაც ხალხის ნორმალური ყოფისა და მუშაობისათვის არის საჭირო.

მათი პროდუქცია მთლიანად სახალხო მოხმარების საქონელია. ახლა ასე

დამსახურებული

ახუთული თბილისის შემდეგ წყნეთის სიგრილე სასიამოვნოა. ნაძვების კორომი, წყნარი, სოფლური ქუჩები, გინდა თუ არ გინდა, დასვენების, უსაქმობის გუნებაზე გაყენებს კაცს. წამოწექი მდელოზე, სადმე ჩრდილში და ნიგნის კითხვაც შეიძლება.

წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში კი უსაქმურობაზე ფიქრი ზედმეტია. არის სახელმწიფო გეგმა-სახშეკვეთა, რომელიც უნდა შესრულდეს. ამას გარდა, სრული სამეურნეო ანგარიშით მომუშავე კოლექტივი ზუსტად იმდენს შემატებს საოჯახო ბიუჯეტს, რამდენსაც თავისი გარჯით მოიპოვებს.

კოლექტივს, ნუ გვიწყენენ იქაური კაცები, თავისუფლად შეიძლება — ქალთა ენოდოს. ამ ფაბრიკის ნანარმს თუ შეიძენთ, იცოდეთ, რომ თითოეული ხაზი ან გვირისტი რომელიმე ნანას, ეთერის, მანანას გაკეთებულია. და თუმცა ეს ასეა, პირველად სიტყვა მაინც კაცს, ფაბრიკის დირექტორს, ლადო დოლიძეს მივცეთ.

— კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, რიგიანად ვმუშაობთ. გეგმაც სრულდება. ჯარიმებიც ცოტაა, კოლექტივიც კმაყოფილია. მთავარი პრობლემა თვით ჩვენი მუშაობის მეთოდია. სამეურნეო ანგარიშმა უფლებები მოგვანიჭა, ამასთან, მომეტებული პასუხისმგებლობაც მოგვთხოვა, რადგან ახლა აღარ შეიძლება ცუდად იმუშაო და კარგად იცხოვრო, დამხმარე არავინ არის და საკუთარ თავს თვითონ უნდა მივხედოთ. შესაბა-

პროცესის ოსტატი თამარ ოქტიაშვილი (მარცხნივ) და მოწინავე მკერავი ასმათ თაბუნიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაში

№ 2 სამეურვალო საამქროში

დგას საკითხი: ჩავაცვათ ჩაცმულს. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც მარტო სიშიშვლის დაფარვა იყო საჭირო. მომხმარებელი, უპირველეს ყოვლისა, მოდურ, გემოვნებით შეკერილ ტანსაცმელს ითხოვს. თვითდაფინანსებაზე მომუშავე სანარმო, მოგებას რომ იღებს, თავისთავად ცხადია, მათი პროდუქცია იყიდება. თუმცა, ამ მაჩვენებლით მამაზეციერი ვერ მიხვდება: კარგს უშვებენ თუ ურიგოს. მყიდველი პრაქტიკულად ყველაფერს ჰყავს. შეიძლება მოდას ოცი წლით ჩამორჩენილი რამ გამოუშვა, მერე სხვაგან გაიტანო და ცხოვრების ოციოდე წლით ჩამორჩენილ საზოგადოებას მიჰყიდო. თითქმის მთელი ჩვენი მსუბუქი მრეწველობა სარგებლობს ამ ხერხით.

— წყნეთში როგორღა იქცევიან, რა გემოვნების მომხმარებელი ჰყავთ? აი, ეს კითხვები დავუსვით ფაბრიკის სამოდელო ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ელენე აბაშიძეს.

— ამას წინათ საკავშირო ბაზრობაზე ჩვენი პროდუქცია გაინერა სავაჭრო დარგმა, ანუ საქმე კარგად გვაქვს. მოდელებს თვითონაც ვქმნით, უმეტესად კი რესპუბლიკის სამოდელო სახლი გვანდის — როგორც ყველაფრიდან ჩანს, დახვენილი გემოვნების პატრონსაც გაუჭირდება ჩვენს ნანარმს ლაზათი დაუნუნოს. მაგრამ ქსოვილია პრობლემა: ისევ ის ძველი ფერები, უხარისხო ნაქსოვი. ამ საკითხს ვერსად გავექცევით და მისი მიზეზით ათასგვარი გზების გამონახვა გვიწევს, მყიდველი რომ უკმაყოფილო არ დაგვრჩეს.

ფაბრიკა ორიოდე წლის წინათ განახლდა. სხვათა შორის, მაშინ უნგრელებმა ჯინსის ხაზი დაამონტაჟეს, რომელიც დღემდე მუშაობს და... მძიმე ტვირთად აწევს კოლექტივს. საქმე ის არის, რომ სათადარიგო ნანილები არა აქვთ. მეორეც, თვითონ ჯინსიც იოლად არ იყიდება. ჯინსის ქსოვილი საბჭოურია და ყოველად უხარისხო. წყნეთში ფაბრიკის პატარა საფირმო მაღაზია მუშაობს. ორმაგ საქმეს აკეთებენ მისი მუშაკები: საბაზრო კონიუნქტურასაც სნავლობენ, პროდუქციასაც ჰყიდნიან. მალე თბილისშიც გაიხსნება ასეთი მაღაზია. საერთოდ, დირექციის პროგრესის დიდი პროგრამა ჩაუფიქრებია.

პირველი კოოპერატივების გამოჩენისთანავე, ფაბრიკასთან კოოპერატივი „პიონერი“ ამოქმედდა. ნედლეულს ფაბრიკა ანვდით, ისინი კი მეტად საჭირო პროდუქციას ამზადებენ, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. კოოპერატივი უმეტესად ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებით არის დაკომპლექტებული. კოოპერატივში საწარმოზე უფრო დიდი ხელფასია და კოლექტივის წევრებს საშუალება ეძლევათ მომეტებული თანხა შემატონ საოჯახო ბიუჯეტს.

ხელფასი თვით ფაბრიკაშიც არ არის ურიგო. სამუშაო ადგილებიც კეთილმოწყობილია. სოციალურ საკითხებზე ზრუნავა თუ კარგი გასახდელით ან საუნით ამოინურება, მეტისმეტად ცუდად ყოფილა საქმე. მუშაკაცს თუ მუშაქალს ჯერ მუშაობის ნორმალური პირობები უნდა შეუქმნან. ასეც არის: თავიდან გაგვიკვირდა, სანარმოს ტერიტორიაზე და საამქროებში იმდენი მინა-ბეტონის ფილა დაეხვავებინათ. თურმე, მათ ფანჯრების მაგივრად ჩასვამენ. ფაბრიკა მინისა და რკინა-ბეტონის შენობაშია. ზაფხულში ძალზე ცხელა, ზამთარში ცივა, ამიტომაც დააპირეს მინა-ბეტონის ფილების ჩასმა: სიცივესაც არ შემოუშვებს, სიცხისგანაც დაიფარავს მუშაკებს. უცხოური მონყობილობა კი მათ კარგ სამუშაო პირობებს უქმნის.

და, მრავალი სიკეთის მიუხედავად, ფაბრიკას მაინც აკლია მუშახელი. კადრების ნაკლებობა გლობალური მიზეზებით არის გამონვეული და ერთ პუბლიკაციაში მისი ანალიზი არ მოხერხდება. მით უმეტეს, მუშაობენ რომ პრობლემა გადაიჭრას, ამას უთუოდ შეუნყობს ხელს ტრანსპორტის საკითხის მოგვარება. კოლექტივის ნევრთა უმრავლესობა წყნეთიდან მოშორებით ცხოვრობს. მრავალცვლიანი სამუშაო კიდევ უფრო ამნვავებს ტრანსპორტის ისედაც მნვავე პრობლემას.

მალე ფაბრიკა ბინათმშენებლობას ნამოინყებს. საამისოდ პრაქტიკულად ყველა პირობაა შექმნილი და ორიოდე უბინაოც საკუთარ კერას გაიჩენს. ხელმძღვანელობას საფიქრალ-საზრუნავი არ აკლია. აბა რა გამოლევს სანარმოში პრობლემებს. ასე მიჰყვება დღე-დღეს. ახლა უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე გუშინ. კოლექტივიც ფხიანია და, იმედია, სამომავლოდ უფრო კარგ მოსავალს მოინევენ.

კომპლექსი პროდუქციის ფასდება

რესპუბლიკის ხვალინდელი დღე, მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა მწვავედ აყენებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის საკითხს, რადგან ჯერჯერობით მისი დონე არ შეესაბამება ადამიანის მოთხოვნებს. ამის გარდა, მოხმარებული პროდუქციის დიდი ნაწილი დოტაციით არის მიღებული.

„აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ძირეული ზრდისა და შემდგომი განვითარების საფუძველზე ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველომ უნდა აამაღლოს საკუთარი მოხმარებისათვის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონე. ეს კი მოითხოვს სრულად ავითვისოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ის პოტენციური შესაძლებლობანი, რაც რესპუბლიკას გააჩნია და ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით უკვალოდ იკარგება.

ერთ-ერთი ასეთი რეზერვია კომპლექსების საპროექტო სიმძლავრეების ათვისება, რომელიც, სამწუხაროდ, რომ იტყვიან აქილესის ქუსლი გახდა, რის გამოც ყოველწლიურად ათასობით ტონა რძე და ხორცი იკარგება. მაგალითად, მერძევეობის მარტო სახელმწიფო კომპლექსებში (სულ 15) საპროექტო სიმძლავრეების მიხედვით უნდა მოეწველათ 37 700 ტონა რძე, ფაქტობრივად შარშან მოწველეს 19 872 ტონა. ესე იგი, სიმძლავრეების აუთვისებლობით დაიკარგა 17 822 ტონა რძე. ეს საკმაოდ დიდი ციფრია, მაგრამ ამას თუ დავუმატებთ სამეურნეობათშორისო და საკოლმეურნეო კომპლექსებში აუთვისებელ სიმძლავრეებს, ეს ციფრი მკვეთრად გაიზრდება.

შენდებოდა მეცხოველეობის კომპლექსები, ეს იმას ნიშნავდა, რომ სამრეწველო საფუძვლებზე უნდა ეწარმოებინათ მეტი და იაფი პროდუქცია. იმარჯებოდა მილიონები, ეს კი კომპლექსებისაგან მოითხოვდა უკუგებას, მაგრამ წლები გადის და კომპლექსების უმრავლესობა იმის მაგალითს იძლევა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს გულგრილობას, უყაირათობას, არაკომპეტენტურობას.

2 802 ათასი მანეთი დაჯდა გარეჯის კომპლექსის მშენებლობა, როცა იგი დამთავრდა, ძვირად ღირებული ჯრშიანი პირუტყვიც შემოიყვანეს. გაიკვეს, რომ ამ პროექტით გათვალისწინებული ტექნოლოგია ჩვენს პირობებს არ შეესაბამებოდა. დაიწყო რეკონსტრუქცია და მშენებლობის ღირებულება 4 948 417 მანეთამდე გაიზარდა.

სამწუხაროდ, გარეჯის კომპლექსი გამოსაკლისი არ არის. ამ პროექტით (ბრენდის ტიპის) აშენდა ოთხი კომპლექსი, რომლებიც შემდეგ ასევე გადაკეთდა და რესპუბლიკას მილიონობით მანეთის ზარალი მოუვიდა.

უყაირათობის კიდევ ერთი ფაქტი: თავდაპირველად გათვალისწინებული იყო კომპლექსებიდან მოზარდიულის გაყვანა და მისი ცალკე გამოზრდა, რისთვისაც აშენდა სამი კომპლექსი (რატევნის, დმანისის და კლდეკარის), თითოეული სამი ათასი მოზარდიულისთვის, მაგრამ შემდეგ შეიცვალა ეს გადაწყვეტილება. გამოსაზრდელი კომპლექსები ცარიელი დარჩა. მერე დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რისთვის გამოეყენებინათ ეს მილიონებად ღირებული შენობები...

ბუნებრივია, იმადება კითხვა — სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, სანამ მილიონები დაიხარჯებოდა, ნუთუ არ შეიძლებოდა მშენებლობის პროექტი წარმოების მუშაკებთან ერთად განეხილათ, წინასწარ დაესაბუთებინათ, სრულიყოთ ტექნოლოგიური სისწორე, უმაზნოდ ფულის ხარჯვას მაშინ ხომ თავიდან აიცილებდნენ?

გარეჯის კომპლექსი სოფელს 30 კილომეტრით არის დაშორებული. ამბტომ ხალხი აქ მუშაობას გაურბის. ბრძენ კაცს უთქვამს: ერთი კაცის აზრი კარგია, მაგრამ ორისა — უკეთესიაო. ყველას რომ ემსჯელა გარეჯის კომპლექსის ადგილის შერჩევაზე, ალბათ, მუშახელის საკითხი აქ გადაუწყვეტელ პრობლემად არ დარჩებოდა. ვანათის კომპლექსი მშენებლობის დროს, ხოლო კორბოულა აშენებიდან ბევი წლის შემდეგ არ დაიწყროდა და ასე უყაირათობით დაკარგული მილიონები სხვა მილიონებთან ერთად დღეს რესპუბლიკას, სამეურნეო ანგარიშზე გადახვლის წინ, ძმიმე ტვირთად არ დააწვებოდა.

ახლა შევიხედოთ იმ მილიონებად ღირებულ კომპლექსებში, სადაც პროექტით სულ უნდა იყოს 12 300 ფური, ფაქტობრივად კი არის 8 190 ფური. ესე იგი, 4 110 პირუტყვის ადგილი ცარიელია, როცა თითოეულის მშენებლობა სახელმწიფოს 1 500 მანეთი დაუჯდა. ფურის საშუალო წველადობა პროექტით უნდა იყოს 3 032 კილოგრამი. მოწველილია 2 319 კილოგრამი. ეს ციფრი, მართალია, 400 კილოგრამით აღემატება რესპუბლიკის საშუალო ნაწველს, მაგრამ მკვეთრად ჩამორჩება საპროექტოს. სწორედ სულადობისა და პროდუქტიულობის საპროექტო სიმძლავრეების ათვისებაა ის დიდი რეზერვი, რომელმაც თავისი სიტყვა რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში უნდა თქვას.

იქ, სადაც გულთან მიაქვთ საქმე, კარგად უძღვებიან მეურნეობას, ნორმალურად კვებავენ პირუტყვს, შედეგიც კარგი აქვთ. მაგალითად, გაგრის მერძევეობის კომპლექსმა პროდუქტიულობის საპროექტო სიმძლავრე უკვე აითვისა. თითოეულ ფურზე 3 500 კილოგრამის ნაცვლად 3 945 კილოგრამი რძე მოწველეს.

საპროექტო სიმძლავრეებს თითქმის ითვისებენ თელეთის, სართიჭალის, მარტყოფის კომპლექსები.

სანამ ფურები კომპლექსში ახალი ბინადარნი არიან, ავლენენ თავიანთ ჯიშურ პოტენციალს. შემდეგ კი ცუდი მოვლითა და კვებით წველადობა თანდათან იკლებს. ასეა ლეკებადიანის (მარნეულის რაიონი) კომპლექსშიც, სადაც არსებობის პერიოდში შემოყვანილია 4,7 ათას სულზე მეტი ჯიშიანი პირუტყვი (5,4 მილიონი მანეთის ღირებულების), მაგრამ სულადობის საპროექტო სიმძლავრე მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული, უნდა იყოს 800 ფური.

წლები გადის. საპროექტო სიმძლავრეების ათვისების ვადები კარგა ხანია ამოიწურა, მაგრამ კომპლექსი წინსვლის ნაცვლად უკან მიდის. აქ, ამ მილიონებად ღირებულ შენობებში, დღითიდღე კნინდებიან ოქროს ფასად ღირებული ფურები, თვალსა და ხელს შუა იკარგება ის პოტენციური შესაძლებლობები, კომპლექსს რომ გააჩნია.

მსგავსი მდგომარეობაა წულუკიძის, ხვედურეთის, ზნაურისა და სხვა კომპლექსებში, სადაც სწრაფად იცვლებიან დირექტორები, მდგომარეობა კი უცვლელი რჩება. იკარგება ათასობით ტონა მეცხოველეობის პროდუქტი, რომლის დეფიციტიც ასე აწუხებთ მშრომელებს. ამბტომ კომპლექსების ხატკოვარის კომპლექსურად უნდა მკურნალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ აუთვისებელი დარჩება სიმძლავრეები.

მ ე დ ე ა ო ბ გ ბ ა ი ძ ე

გახსენება

თაკარ ქუჩულორია

გავუვი რომ ჯანმრთელი იყოს

ამ დღეს უკანასკნელად გაგატარეს თქვენთვის საყვარელ ზუგდიდის ქუჩებზე. ზღვა ხალხი მიგაცილებდათ სამუდამო სამყოფელამდე.

თქვენ, კომკავშირული მოძრაობისა და პარტიის საპელოვანი ვეტერანი, ღვაწლმოსილი ქალბატონი, უველა ზუგდიდელისათვის ახლობელი, ავტორიტეტიანი და სამაგალითო იყავით. ნამდვილად ვალმოსილი მიდიხართ ამ ქვეყნიდან. ბევრი, ძალიან ბევრი კეთილი საქმე გაგიკეთებიათ თქვენი სათაყვანებელი ზუგდიდელებისათვის. თქვენ ხომ წლების მანძილზე ქალაქ ზუგდიდის ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდით და ყოველი ხვალინდელი დღე მღელვარებით აღსავსე იყო. ყოველ დილით პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის, დოდო შამათავას ან ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში იჯექით. პირადი არაფერი გქონდათ სათხოვარი, საკუთარი ცხოვრებით არასოდეს გიცხოვრიათ, მუდამ სხვებისთვის ითხოვდით დახმარებას. უკან დახევა არ გიყვარდათ. გასაკეთებელს შუდამ აკეთებდით... ერი უნდა გამრავლდესო, — ამბობდით და ყველაზე ძალიან მრავალშვილიან დედებს ეხმარებოდით. განა მარტო მრავალშვილიან დედებს, არა, თქვენ უთვალავი ზუგდიდელი ქალისათვის გაგიწვდიათ მადლიანი ხელი, ზოგი სამუშაოზე მოგიწყვიათ, ზოგისათვის ბინა მიგიციათ, ოჯახური საკითხი მოგიგვარებიათ და ვინ მოსთვლის, კიდევ ვის რაში დახმარებიხართ!

საოცარი ენერგიული, ალალ-მართალი და პრინციპული ქალბატონი ბრძანდებოდით. თქვენი სწერი მაგიდის უჯრა ახლაც სავსეა მომავალი სამუშაო გეგმებით. თქვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გქონდათ გასაკეთებელი.

თქვენგან გამიგონია, ცხოვრება ისე უნდა განვლო, უკან მოხედვის არ შეგრცხვესო. ისიც გამიგონია, ეს ცხოვრება ჩვენი დროებითი თავშესაფარია, მივდივართ და რჩება მხოლოდ ჩვენი ხელით გაკეთებული საქმე, რომლისთვისაც აუგად ან ქება-დიდებით მოგვიხსენიებენო.

სხვა თუ არა, ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრის კარის ფერდობზე თქვენი ხელით დარგული და გაშენებული ახალშობილთა პარკი გეყოფათ უკვდავსაყოფად. აქ უსათუოდ მოვლენ თავიანთი სახელობის აშოლტილი კვიპაროსების სანახავად ახლა უკვე დაოჯახებული ზუგდიდელი ვაჟკაცები და ქალიშვილები, დიდი სიყვარულით მოგიგონებენ და შვილებსა და შვილიშვილებსაც უამბობენ თქვენზე. და ახე, თაობიდან თაობას გადაეცემა თქვენი კარგი ქალობის ამბავი.

ოლიკ დადიანი

არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, როცა ოჯახში ჯანმრთელი ბავშვი იბადება. მაგრამ დღესდღეობით მომავალი დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ჯერ კიდევ დიდია ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა. მათი გამომწვევი მიზეზების და შემცირების გზების ძებნა კვლავ რჩება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად.

დედათა და ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, სამედიცინო ასპექტის გარდა, დაკავშირებულია სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან, რის გამოც იგი დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემაა და ყველა რგოლის, სისტემის, საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები.

ბავშვთა ხშირ ავადობასა და სიკვდილიანობას ძირითადად განაპირობებს დედისა და მამის მთელი რიგი დაავადებები, მათი მავნე ჩვევები — თამბაქო, ალკოჰოლი, დაბეგვრთული გენეტიკური ფონი, ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, ექსტიციდებისა და სხვა ქიმიური საშუალებების ფართოდ გამოყენება სოფლის მეურნეობაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში; ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზად უნდა ჩითვალოს აგრეთვე ხარვეზები სამედიცინო მომსახურების მხრივაც. კერძოდ, სათანადოდ აღჭურვილი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ცენტრების სიმცირე, ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების, ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები (ცხადია მოსახლეობის დაბალი სამედიცინო კულტურაც).

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პრესაში გამოცხადებას არ ექვემდებარებოდა, 1988 წლის მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში უდრის 22,1-ს ყოველ 1000 დაბადებულზე, რაც დაბალია საერთო საკავშირო და გაცილებით დაბალია გასული წლების რესპუბლიკურ მაჩვენებელზე, და იგი ბოლო პერიოდში ამ ხაზით განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებებით უნდა აიხსნას.

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შედარებით ნაკლები აქვთ ბალტიისპირეთის, ბელორუსიის და უკრაინის რესპუბლიკებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვთა სიკვდილიანობის სტრუქტურაში სიცოცხლის პირველ კვირას და პირველ თვეს გარდაცვლილთა წილი 50 პროცენტს აღემატება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სიკვდილიანობის შემცირების რეზერვები სწორედ ამ ასაკში უნდა ვეძებით და გავითვალისწინოთ, რომ იგი განპირობებულია დედის ჯანმრთელობით, ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდში განვითარებისა და ახალშობილთა მდგომარეობით — პერინატალური პათოლოგიით.

რაც შეეხება მოგვიანებით ბავშვთა სიკვდილიანობას, 1-თვიდან ერთ წლამდე ასაკში, აპირობადებს პერინატალური პერიოდის მთელი რიგი ფაქტორები (დამძიმებული ანამნეზი, ტოქსიკოზი, მაღალი „რისკ“ ფაქტორები, განვითარების მანკები) ინფექციური და ვირუსული დაავადებანი — პირველ რიგში სასუნთქი სისტემისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგია.

ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია ჯანმრთელი ბავშვის დაბადება, რასაც განაპირობებს მომავალი მშობლების ჯანმრთელობა, ორსულობის პერიოდში პროფილაქტიკური ღონისძიებების მკაცრად დაცვა — ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, გენეტიკური ფონის დადგენა და მკურნალობა, სტეროიდებისა და მთელი რიგი მედიკამენტების მიღების შეზღუდვა, აგრეთვე ორსულობის პერიოდში გარემოს გაჯანსაღება, ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესება და ა. შ.

ბოლო პერიოდში დიდი უურადღება ექცევა ნაყოფისა და ახალშობილის გამოკვლევის მიზნით პერინატალური დიაგნოსტიკის საკითხების მოგვარებას.

დედათა და ბავშვთა უკეთ მომსახურებისთვის საჭიროა მედიკო-გენეტიკური კონსულტაციების ქსელის გაფართოება, იმუნოფერმენტული ანალიზის ლაბორატორიის ჩამოყალიბება, მაღალი „რისკის“ ფაქტორების მქონე ქალთა მკურნალობა, ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა დროული დისპანსერიზაცია.

ბავშვთა გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა სუფთა ჰაერი, ფიზიკური მეთოდები, სწორი დღის რეჟიმი, სწორი კვება და სხვ.

აუცილებელია ახალგაზრდა დედების მომზადების მიზნით ფართო საგანმანათლებლო მუშაობა და შესაბამისი ლიტერატურით მათი უზრუნველყოფა.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებების მუშაობა, მათი მატერიალური ბაზა. სამშობიარო სახლებში უნდა შეიქმნას დედისა და ახალშობილის ერთად ყოფნისა და მცირეწონიან ახალშობილთა გამოზრდის პირობები.

ქალთა და ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებები უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო აპარატურით, მედიკამენტებით, ერთჯერადი ხმარების შარიცებითა და თეთრეულით.

რესპუბლიკაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზების შესასწავლად.

საქართველოს მეან-გინეკოლოგები და პედიატრები ეძიებენ ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის მიზეზებს. შემუშავებულია მათი შემცირების გარკვეული ღონისძიებებიც, რომელთა განხორციელებულად ხელს შეუწყობს ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას; ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლის სამეცნიერო თემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ საკითხებს ეხება.

მუშავდება კომპლექსური შრომები ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზებისა სასუნთქი სისტემის პათოლოგიის განვითარებაში, გარემოს გაბინძურების როლის, დედისა და ბავშვის ორგანიზმზე პესტიციდების გავლენის, თამბაქოსა და ჩაის პლანტაციებში მომუშავე ქალთა ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვათა შესახებ.

ფართო საორგანიზაციო-მეთოდური და პრაქტიკული დახმარება ეწევა რესპუბლიკის ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს და მოსახლეობას „ბავშვთა მოძრავი პოლიკლინიკის ადგილებზე გასვლით“.

მოსახლეობისა და ახალგაზრდა დედებისათვის საგანმანათლებლო მუშაობის გაშლის მიზნით კომკავშირის თბილისის კალინინის რაიკომის დახმარებით მალე გამოვა სამახსოვრო ფურცლები ბავშვთა აღზრდისა და მოვლის საკითხებზე.

საქართველოს წითელი ჯვრის რესპუბლიკური კომიტეტის დახმარებით და მხარდაჭერით უახლოეს მომავალში გამოიცემა მაგნიტოფონზე ჩანაწერი ფირები ბავშვის მოვლის, კვების, გაკაჟებისა და სხვა საკითხებზე.

ლილი ირემაძე,
პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკონსულტაციო-პოლიკლინიკური განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

მოსაზრება

9 აპრილის ტრაგედიას დავიწყება არ უწერია. თაობებს მისგან მიყენებული სულისშემძვრელი ტკივილები ადვილად როდი მოუშუშდებათ, ასე იქნება ძალიან დიდხანს... ამ თარიღმა ბევრი შემოქმედი აფორიაქა და ააღებინა ხელში კალამი, ფუნჯი, საჭრეთელი, რათა თაობებს ცოცხლად შემოუნახონ უკვდავებაში გადასულ იმ ადამიანთა ლამაზი სულის სახება. მათ უკვდავებაზე ფიქრობენ უბრალო ადამიანებიც.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მე-5 ნომრის გარეკანზე მოთავსებულია ფოტოკორესპონდენტ დავით იაკობაშვილის ფოტო „გოდება“. მან შთააგონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფისტს, კულტურის დამსახურებულ მუშაკს თენგიზ თომაძეს შემოეთავაზებინა ასეთი მოსაზრება: ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ბაღში, სადაც ვარაუდია დაიდგას 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი, მუდმივი ცეცხლის სიმბოლოდ გამოყენებულ იქნას მათი რაოდენობის განმსაზღვრელი ერთმანეთში გადაწნული სანთლების გამომსახველი ლითონი.

იდეის განხორციელება სპეციალისტებისათვის მიგვინდვია.

№ 3-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ჯაფარიძე. 6. „ხაჯაპური. 8. სვანეთი. 9. მაწონი. 10. ფლირტი. 14. ელჩი. 15. ათი. 17. „ორერა“. 18. ვარია. 21. ბუკლე. 22. ანწლი. 23. ადლი 24... ეავა. 27. გარმონი. 28. ლერწამი. 29. ამაზონი. 32. აკადემია. 33. სტენდალი.

შვეულად: 1. სამანი. 2. მძივი 3.. თართი. 4. აპრილი. 5. ჯაბადარი. 7. ამიტაცია. 11. ალექსანდრია. 12. ჯავახიშვილი. 13. პროფილი. 16. მაქმანი. 19 გულქანდა. 20.. ფლაგმანი. 25. პომადა. 26. ბრანდო. 30. მაია. 31 ნოტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დროც მალე გაირბენს

გარშან სალონიკში (საბერძნეთი) საერთაშორისო ჭადრაკო ფედერაციამ (ფიდემ) ერთობ ფრიად საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო: აღდგენილ იქნეს ქალთა შორის მსოფლიო პირველობის გათამაშების სამწლიანი ციკლი. ბოლო ხანებში ამ პირველობის ორწლიანი ციკლი მოქმედებდა, რაც მსოფლიო ჩემპიონს ფაქტობრივად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

ერთი სიტყვით, მაია ჩიბურდანიძე თავის წოდებას 1991 წელს დაიცავს. ვის წინააღმდეგ? ეს საინტერესო საკითხი მწყობრმა შესარჩევმა სისტემამ უნდა გამოარკვიოს: ერთმანეთს მიჰყვება ზონალური, საზონთაშორისო ტურნირები, პრეტენდენტთა დასკვნითი შეჯიბრება. 1991 წლისთვის მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის მრავალრიცხოვანი მსურველებიდან ერთიღა დარჩება.

ვინ ინარჩუნებს საკრთველოდან მაიასთან შეხვედრის პოტენციურ შესაძლებლობებს? ესენი არიან: — ნანა იოსელიანი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახამია. და ქეთევან კახიანი. ნანა იოსელიანს, როგორც მსოფლიო პირველობის უკანასკნელი მატჩის მონაწილეს, დანარჩენებთან შედარებით ერთი შეღავათი აქვს — იგი ბრძოლავი პირდაპირ პრეტენდენტთა ასპარეზობიდან ჩაებმება, მაშინ როცა დანარჩენმა ოთხეულმა თამაში საზონათშორისო ტურნირებიდან უნდა დაიწყოს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დიდი სენსაცია იყო ასეთ გამოჩენილ მოჭადრაკეთა რიგებში 17 წლის ქეთევან კახიანის გამოჩენა. ჯერ კიდევ მარშან, ჩვენი ეროვნული თვლიდა პერსპექტიულ გოგონად, მაშინ არ შეგვეძლო გამოგვეცნო, რომ გაიღლიდა სულ რამდენიმე თვე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, არც მეგი, არც ნაკლები, გასაოცარ ნახტომს გაკეთებდა. აქ დიდია ქეთინოს მასწავლებლის, სანკთველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი მაკარაშვილის ღვაწლი. სექტემბერ-ოქტომბერში კახიანი თელავში ესწრებოდა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მატჩს, ნოემბერში კი თვით ჩაება მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში (ასეთი მნშვნელოვანი ტურნირი ეროვნულ ფენომენად ეროვნულ ფენომენად ეროვნულ ფენომენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების ნობათი

მეფუტკრეობის მთავარი პროდუქტი — თაფლი ბუნების შესანიშნავი საჩუქარია, რომელიც ძვირფასი საკვებიც არის და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაც. თაფლის შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია. ის შეიცავს ორგანიზმისათვის მეტად საჭირო კომპონენტებს, მდიდარია ვიტამინებით, სხვადასხვა მიკროელემენტებით, ნახშირწყლებითა და ადვილად შესათვისებელი მონოსახარიდებით.

თაფლი მაღალკალორიული პროდუქტია; 100 გრამი თაფლი შეიცავს 315-335 კალორიას.

ბუნების ეს ნობათი განსაკუთრებით სასარგებლოა დახარჯული ფიზიკური და გონებრივი ენერგიის აღსადგენად.

ფიზიკური და გონებრივი დაღლილობის სწრაფად განსატვირთავად საკმარისია ჭამის წინ, ერთი საათით ადრე დალიოთ ერთი ჭიქა თბილ წყალში გაჯერებული 20-25 გრამი თაფლი.

თაფლს სამართლიანად უწოდებენ „კუჭის მეგობარს", რადგან იგი დადებით ზეგავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ფუნქციაზე. მედიცინაში ნატურალური თაფლი წარმატებით გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების სამკურნალოდ. იგი დადებითად მოქმედებს და ეხმარება გულის კუნთის მუშაობას ადვილად შესათვისებელი გლუკოზის შემცველობის გამო.

თაფლის მიღება შეიძლება როგორც ნატურალური, ასევე კომბინირებული სახით:

ლიმონის, სტაფილოსა და თაფლის ნაპეში:

300 გრამ ადუღებულ ცივ წყალში გახსენით ორი სუფრის კოვზი თაფლი, ერთი კილო სტაფილოსგან გამოწურული წვენი და ერთი ლიმონის წვენი. მიღებული ნაყენი დღის განმავლობაში სამჯერ მიიღეთ.

ლიმონისა და თაფლის ნაპეში: 200 გრამ ცივ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი თაფლი, ერთი ცალი ლიმონის წვენი და მიირთვით დღეში ერთხელ, უმჯობესია დილით.

შავი მოცხარისა და თაფლის ნაპეში: 700 გრამი მოცხარი საცერში გაატარეთ და თაფლის ხსნარს აურიეთ (ორ ჩაის ჭიქა წყალში გახსენით 6 სუფრის კოვზი თაფლი). მიღებული ნაყენი მიირთვით ორი დღის განმავლობაში.

თეენგიზ კახელიშვილი

რჩევები

როგორც ცნობილია, ბლინებისათვის ცომი რძით მზადდება. იმ შემთხვევაში, თუ რძე არა გაქვთ შეგიძლიათ ცომი მოამზადოთ ბორჯომის ან სხვა მინერალური (ნაბეღლავის) წყლით..

რაც უნდა სუფთა, ცხიმმოსმულ და ცხელ ტაფაზე დაასხათ ცომი, ტაფა მაინც მიიკრავს პირველ ბლინს. ამიტომაც ამბობენ: პირველი ბლინი ძაღლისაა. ეს რომ არ მოხდეს, ტაფა მარილის თხელი ფენით დაფარეთ და დადგით ანთებულ გაზქურაზე 10-15 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადაყარეთ მარილი. ტაფა მოწმინდეთ მშრალი, სუფთა ჩვრით, მოუსვეთ ცხიმი და დაიწყეთ ბლინების ცხობა.

*

ლიტრა რძეში ადუღებამდე ჩააგდეთ ნატეხი შაქარი, ან ჩაყარეთ ნახევარი სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი. ადუღების შემდეგ გააცივეთ თავდაუხურავ ჭურჭელში. ასეთი წესით ადუღებული რძე მალე არ მეყავდება.

*

თუ გნებავთ, რომ კატლეტი ფაფუკი გამოვიდეს, კილოგრამ ხორცის ფარშს დაუმატეთ 100 გრამი წყალი.

*

თუ გნებავთ, რომ წვრილად დაჭრილი ხახვი ვარდისფრად მოიშუშოს, ვიდრე ცხიმიან ტაფაზე მოათავსებდეთ, მოაფრქვიეთ მცირეოდენი პურის ფქვილი.

*

პამიდორს კანი რომ კარგად მოსცილდეს, მოათავსეთ მდუღარე წყალში, შემდეგ სწრაფად გადაიტანეთ ცივში. ასევე ადვილად გაიფცქვნება მოხარშული სოსისი და მოხარშული კვერცხი, თუ უცებ ცივ წყალში გადაიტანთ 1-2 წამით.

*

ახლა ძალიან გახშირდა პარკეტის იატაკზე ლაქის წასმა. ლაქწასმული იატაკი სასიამოვნოდ პრიალებს, მაგრამ ადვილად იჩხაპნება სკამებისა და მაგიდის გადაადგილებით. იატაკი რომ არ დაიჩხაპნოს, შეგიძლიათ მაგიდისა და სკამების ფეხებს დაუწებოთ ქეჩა ან მაუდი.

*

თუ სუფრაზე წითელი ღვინო დაგეღვარათ, იმ წამსვე დასხით ბორჯომის წყალი ან ადუღებული ცივი რძე და დაუყარეთ მარილი.

*

ხილის წვენით დალაქავებულ სუფრას ან თეთრ ქსოვილს დაუყარეთ ლიმონმჟავა ან დაუწურეთ ლიმონის წვენი, შემდეგ მოაყარეთ მარილი და მზეზე გაფინეთ.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93,-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5. 06 89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 07. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3 საარრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 171.000. შეკვ. 1273. უე 04675 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58. ფასი 30 კაპ.

სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტო

იგი იქაა, სადაც უჭირთ

დედა ტერეზა — აგნეს გონჯა გოლდიასკუ

გვიჭირდა და მოვიდა. ბევრი საშური საქმე გადასდო და თბილისის მიწას დაადგა ფეხი. ჩვენმა სასიქადულო მხატვარმა ზ. წერეთელმა ითავა მისი ჩამოყვანა. რა თქმა უნდა, მას გვერდით ედგა ქართველი საზოგადოებრიობა.

დედა ტერეზამ პირველ რიგში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის ადგილი მოინახულა და ღრმა სამძიმარი შეუთვალა დაღუპულთა ოჯახებს. მერე საავადმყოფოში მოთავსებული მოწამლულები მოინახულა, გაუღიმა, თმაზედაც გადაუსვა ხელი და თითქოს განიკურნენ... ისე დიდი იყო შთაგონების ძალა.

მსოფლიო იცნობს დედა ტერეზას — მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატს, ინდოეთის კათოლიკური ეკლესიის მონაზონს, ღვთისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორს, მოწყალების ორდენის დამაარსებელს, რომელმაც უყოყმანოდ გამოსწია ჩვენსკენ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნისაკენ და თან ჩამოიყვანა მოწყალების ორდენის რამდენიმე წევრი. დედა ტერეზამ დალოცა საქართველო და ისე წავიდა, მაგრამ დატოვა მოწყალების დები ხანგრძლივი დროით. მათი მიზანია შეუმსუბუქონ ტანჯვა და ანუგეშონ ყველა ვისაც ეს ესაჭიროება, თავიანთ კვალზე მოამზადონ ქართველი მონაზვნები — სიკეთისა და ქველმოქმედების გზით რომ იარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა